# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 16-17 მაისი. 2017 წ. №98-99 (8235-8236), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## ოთარ ღუდუშაური:

# კმარა! ④ კმარა! კმარა!



…აი სადამდე მიგვიყვანა ჩვენმა უხერხემლობამ, დათმობამ, გადაჭარბებულმა სტუმართმოყვარეობამ და არასწორად გაგებულმა ინტერნაციონალიზმმა. ჩვენს თანამოძმეებს ისე გასჯდომიათ ტვინში დაუსჯელობის, ყველაფრის ქმნის უფლების რწმენა, რომ საკუთარი ღირსების დასაცავად ხმის ამოღებასაც კი დანაშაულად გვითვლიან.

**ჯაყოს სინდრომი**

# გადაფხიკე კონსტიტუციის პროექტი და მოიგე... კიდევ სცადეთ! ⑦



## რატომ ③ „იდგა ფეხზე“ კვირიკაშვილი ოვალურ კაბინეტში?

### სიმართლეს ვერსად დაემალები...

# ევროპას სააკაშვილი აღიზიანებდა ⑦

## საქართველო უკრაინის გემზე გამობმული ნავია...

## თურქული გამოცდილება – ეს ჩვენთვის უაღრესად ყურადსაღებია!

⑥

## როგორ მუშაობს შრომის ინსპექტირების ორგანო სხვადასხვა ქვეყანაში

# დააკავეს ანკარის ინტერპოლის მიერ მკვლელობისთვის ძებნილი პირი

**თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს მეოთხე განყოფილების სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის „სადახლოს“ თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად ანკარის ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი, 1972 წელს დაბადებული ს. ბ. დააკავეს.**

ს.ბ.-ს ბრალი ედება თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 463-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც მკვლელობას გულისხმობს. ამჟამად დაკავებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

# გამგებელს შეიძლება მერი ეწოდოს!..



**გამგებელს შეიძლება მერი ეწოდოს, რაც ევროპაში საყოველთაოდ აპრობირებული პრაქტიკაა** – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

**„მერი ადგილობრივ დონეზე უმაღლეს თანამდებობის პირს ნიშნავს და ამიტომ, ეს ტერმინი აპრობირებულია. გამგებელი ქართული ტერმინია. ხშირად, ეს ტერმინები აღრევას იწვევს. ადამიანებს ჰგონიათ, რომ მერი და გამგებელი სხვა რამეა და სხვადასხვა კომპეტენციები აქვთ. ამ დროს, მერს და გამგებელს ზუსტად ერთნაირი უფლებამოსილებები აქვთ. უბრალოდ, ერთი ქალაქის, მეორე სათემო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელია. თუნდაც ამ აღრევის თავიდან არიდებისთვის შეიძლება სწორი იყოს, რომ ერთი ტერმინი – მერი გამოვიყენოთ“...**

# ლაშა თორდიას გამოკითხვა დასრულდა



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსის ლაშა თორდიას გამოკითხვა გუშინ დასრულდა. **გამომძიებლების განცხადებით, თორდიამ გამოძიებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მისცა. რაც შეეხება საქმისთვის კვალიფიკაციის შეცვლას, გამოძიების დასრულებამდე კვალიფიკაციის შეცვლაზე კომენტარი არ გაკეთდება.**

თორდია გამოძიებასთან თანამშრომლობს, თუმცა ფიქრობს, რომ საგამოძიებო უწყება მომხდარი ფაქტის გადაფარვის მიზნით სხვა საკითხებზე აკეთებს აქცენტს. თორდიას ამის თქმის საფუძველს ყოფილ მთავარ პროკურორთან ოთარ ფარცხალაძესთან ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლების სტუმრობა აძლევს.

## ანონსი

გურამ ოდიშარია



# ქართული ბაბილონი

ხვალის ნომრიდან

# ხალხმა თანადგომა უნდა დაინახოს!

## პატრიარქი: ჯობს, გარკვეული თანხები გავიღოთ, ოღონდ, სადაც შესაძლებელია, შემხვედრი ნაბიჯები გადავდგათ!

პატრიარქი ყაზბეგსა და მთიულეთში მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:



**დიდად ვწუხვართ იმ მღელვარების გამო, რაც ყაზბეგის რაიონსა და მთიულეთში მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანას მოჰყვა. მოსახლეობის ნაწილი საპატრიარქოშიც მოვიდა და არსებული ვითარება გაგვაცნო.**

**ერთი მხრივ, გასაგებია სამინისტროს პოზიცია; გვესმის, რომ ქვეყანას ეკონომიკური წინსვლა სჭირდება და, როგორც ჩანს, ეს არის მთავარი მოტივი აღნიშნული ქმედებისა, მაგრამ იმავე მიზანს ემსახურება ტურიზმის განვითარებაც, რაც სახელმწიფომ თავის პრიორიტეტად გამოაცხადა.**

**უცხოელებს, ჩვენს კულტურასთან ერთად, ხელუხლებელი ბუნება და ეკოლოგიურად სუფთა გარემოც იზიდავთ; მთის ოჯახური ტურიზმი ერთ-ერთი სერიოზული მიმართულებაა და მას ხელი არ უნდა შეეშალოს. დასახლებულ პუნქტებთან მაღალი ძაბვის სადენების სიახლოვე, ამ მხრივაც უარყოფითად იმოქმედებს.**

**რაც შეეხება, არსებულ დაძაბულობას, ამბობენ, რომ პროცესები მართულია. ასეც რომ იყოს, მაინც ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ გამოსავალი მოიძებნოს. ეს კი დამატებით ფინანსურ ხარჯებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. მაგრამ ჯობს, გარკვეული თანხები გავიღოთ, ოღონდ, სადაც არის შესაძლებელი, შემხვედრი ნაბიჯები გადაიდგას და ხალხმა თანადგომა დაინახოს.**

**გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევა ჩადო მთის კანონის შემუშავებასა და მის რეალიზაციაში და მოსახლეობას მაღალმთიან რეგიონებში არათუ დარჩენის, ქალაქებიდან დაბრუნების სურვილი გაუჩინა. ეს განწყობა, ეს მიღწევა არ უნდა გაუფერულდეს.**

**შევთხოვოთ ღმერთს, მშვიდობა და კეთილდღეობა მომადლოს საქართველოს.**

**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.**

# პრეზიდენტმა ბრატისლავაში საჯარო ლექცია წაიკითხა



**„ჩვენ გვაქვს მჭიდრო ურთიერთობა სლოვაკეთთან, არა მარტო ორმხრივ დონეზე“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ბრატისლავაში, კომენუსის უნივერსიტეტში საჯარო ლექციის წაიკითხვისას. და სტუდენტებს შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობაზე ესაუბრა.

**„ჩვენ ევროპულ და ევროატლანტიკურ პროცესშიც საერთო დღის წესრიგი გვაქვს. ამ პროცესში ძალიან საინტერესოა ის, რაც ახლა ხდება და მოხდება შავ ზღვაზე, ჩემი ქვეყანა კი ამ რეგიონისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. რეგიონში უსაფრთხოების გარემო უარესდება შავი ზღვის ზოლზე ოკუპირებული აფხაზეთისა და ასევე ყირიმის გათვალისწინებით. ჩვენ ვცდილობთ, გადაჭრის გზები მოვძებნოთ და შესაძლოა, გარკვეულ კითხვებზე პასუხები იყოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსშიც, რომ მოვძებნოთ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის გზები რეგიონში,“** — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

# ტყიბულის შახტისა და ჭიათურის მაღაროების შემოწმება მონიტორინგის ჯგუფმა დაიწყო

**16 მაისიდან ტყიბულის შახტისა და ჭიათურის მაღაროების შემოწმება ორი სამინისტროს — ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფმა დაიწყო.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფი 2017 წლის 11 მაისის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე (№-1/200, 01-98/თ) შექმნეს. ჯგუფი ზედამხედველობას გაუწევს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან, ასევე მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილებს, რომლებიც მომეტებულ რისკს შეიცავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის.

მონიტორინგის ჯგუფი ორივე უწყების შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებისგან შედგება — ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის თანამშრომლებისგან. ბრძანება უკვე ამოქმედდა, 16 მაისიდან ორივე სამინისტროს წარმომადგენლებმა ტყიბულის შახტისა და ჭიათურის მაღაროების შემოწმება დაიწყეს.

# საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გაბედა სანქციების რეალურად გამოყენება

რუსეთის საგარეო უწყება საკუთარ მოქალაქეებს საქართველოში გამგზავრებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას ურჩევს.

**„ადგილობრივმა ხელისუფლებამ იური ლუჟკოვთან მიმართებით, გასაგები მიზეზების გამო, ვერ გაბედა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონით გათვალისწინებული სანქციების რეალურად გამოყენება და საკუთარი „ვერდიქტი“ მას შემდეგ გამოაცხადა, რაც მან „სტუმართმოყვარე საქართველო“ დატოვა. თუმცა, ბოლო წლებში, სამწუხაროდ, იყო სხვა შემთხვევებიც — რუსეთის მოქალაქეები ანალოგიურ სიტუაციაში არაერთხელ დაქვემდებარებიან ჯარიმებს და თავისუფლების აღკვეთასაც კი“,** — ნათქვამია განცხადებაში.

რუსული მხარე საკუთარ მოქალაქეებს ახსენებს, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები შეწყვეტილია.

**„ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში, რომელიც ქართულმა მხარემ გაწყვიტა, თბილისში შვეიცარიის საელჩოში რუსეთის ინტერესების სექციას საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია თანამოქალაქეთა დასაცავად“,** — აღნიშნულია განცხადებაში. რუსეთის საგარეო უწყება ოფიციალურ თბილისს პროვოკაციებში ადანაშაულებს, რაც, მათი თქმით,



ხელს უშლის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას.

**„როგორც ვხედავთ, ოფიციალური თბილისი განაგრძობს სისტემატურ პროვოკაციებს, რომელიც ძირს უთხრის რუსეთთან ურთიერთობის გაჯანსაღების პროცესს. ძნელია რაციონალურად ასეთი ქმედების ახსნა — ქართულ-რუსულ ნორმალიზებას ხომ საგრძნობი მოგება მოაქვს ეკონომიკისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის“,** — აცხადებს რუსეთის საგარეო უწყება.

* * *

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას, რომელიც საქართველოში მოსკოვის ყოფილი მერის ვიზიტს ეხება, თბილისში ეხმაურებიან. მმართველ გუნდში ლუჟკოვის პროვოკაციულ ქმედებებზე ამახვილებენ ყურადღებას. ზვიად კვაჭანტირაძე, ამბობს, რომ ლუჟკოვის ვიზიტი იყო პროვოკაციული და ის საქართველოში ველარ ჩამოვა. მისი თქმით, ქართული მხარე რუსეთისგან და მისი მოქალაქეებისგან კანონის პატივისცემას ითხოვს.

**„ლუჟკოვის ბედ-იღბალით რომ დაინტერესდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლუჟკოვი არ იყო აქ, როგორც ჩვეულებრივი კერძო პირი ჩამობრძანებული. მისი ვიზიტი აშკარად ქმნიდა პროვოკაციულ ფონს. ჩვენ ვითხოვთ კანონის პატივისცემას და არა ისეთ განცხადებებს, როგორც ლუჟკოვმა განაცხადა, რომ „მე მესმის, რომ დავარღვიე კანონი, მაგრამ ამისთვის მიმიფურთხებია“. ეს იყო, რა თქმა უნდა, ალმაშფოთებელი. ის საქართველოში, ალბათ, ველარასოდეს ველარ ჩამობრძანდება“,** — განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ.



# საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს პარლამენტში მოუსმინეს

**საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ გრიგოლ გოგელიამ გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე 2016 წლის ანგარიში წარადგინა.**

მან მაუწყებელში 2016 წელს განხორციელებულ ცვლილებებზე და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ვრცლად ისაუბრა ახალ მულტიმედიურ ინტეგრირებულ ნიუსრუმზე.

მისი თქმით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალი ვებ პლატფორმის შექმნას გეგმავს.

**„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ახორციელებს, ეს არის ახალი ვებ არხის შექმნა. ეს არის უნიკალური პლატფორმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა მოთხოვნა. ინფორმაციის მიღება არ ხორციელდება მხოლოდ ტელევიზიის საშუალებით, ამიტომ ჩვენი ამოცანაა, რომ ის შინაარსი, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი აწარმოებს, აწარმოოს იმ პლატფორმებზე, რომელიც მოსახერხებელი იქნება საზოგადოებისთვის და ამის ნაწილია ახალი ვებ პლატფორმა“,** — განაცხადა გოგელიამ.

# ჩვენი ჯიბიდან ამოღებული ფული ეკრანს ანათებს

„სილქნეტი“ აბონენტებს აფრთხილებს, რომ მათი პაკეტების საფასური შესაძლოა, გაიზარდოს. ამის შესახებ „სილქ ტი-ვის“ მომხმარებლებმა შეტყობინება მიიღეს, რომლის თანახმად, სამი ტელეკომპანია — „იმედი“, „რუსთავი-2“ და „მაესტრო“ არხების ჩვენებას ფასიანს ხდიან, რამაც შესაძლოა, „სილქნეტის“ ტარიფებზეც იმოქმედოს.

**„გვსურს, შეგატყობინოთ არასასიამოვნო სიახლე. „რუსთავი-2“, „იმედი“ და „მაესტრო“ აბონენტებისთვის საზიანოდ შეთანხმდნენ, რომ ფასიანი გახადონ მათი არხების ჩვენება, რამაც შეიძლება გააძვიროს პაკეტის ღირებულება“,** — ნათქვამია განცხადებაში.

როგორც „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ „სილქნეტში“ განუცხადეს, მათ, სხვა საკაბელოებისა და ინტერნეტ გვერდების მსგავსად, შუამავალი კომპანიისგან მიიღეს შესაბამისი წერილი და ამ ეტაპზე მაუწყებლებთან ცდილობენ დეტალების გარკვევას.

**„სილქნეტის“ განცხადებით, მათთვის უცნობია, რა თანხას მოითხოვს შუამავალი კომპანია არხების ტრანსლირების სანაცვლოდ და რამდენად შეიძლება გაიზარდოს მათი პაკეტების საფასური, თუმცა ვალდებული არიან, მომხმარებლები შესაძლო ცვლილების შესახებ წინასწარ გააფრთხილონ.**

# რუსი ტურისტების ნაკადს საქართველოში ხელს არაფერი შეუშლის!

**„რუსი ტურისტების ნაკადს საქართველოში ხელს არაფერი შეუშლის“** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. მან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას უპასუხა.

**„რუსი ტურისტების ინტერესი საქართველოს მიმართ დიდია და ამ ინტერესს საფრთხეს არაფერი შეუქმნის. ჩვენთვის მთავარია, ჩვენი პრაგმატული პოლიტიკა გავაგრძელოთ, რომელსაც საყოველთაო მხარდაჭერა აქვს. რაც შეეხება ხალხებს შორის ურთიერთობას, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და საქართველოში ტურისტული ნაკადები იზრდება, ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს“,** — განაცხადა კობახიძემ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკუთარ მოქალაქეებს საქართველოში გამგზავრებამდე რისკების შეფასებისკენ მოუწოდა. მათ ეს განცხადება მას შემდეგ გაავრცელეს, რაც მოსკოვის ყოფილი მერი იური ლუჟკოვი საქართველოსთვის არასასურველ პირთა სიაში მოხვდა.



# ნიკოლოზ ცისკარიძე უკრაინელ ნაციონალისტთა შავ სიაში მოხვდა

**ნიკოლოზ ცისკარიძე უკრაინული საიტის „მიროტვორეცის“ შავ სიაში მოხვდა. ამის შესახებ ტელეკომპანია „რენ ტი-ვი“ იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, ბალეტის მოცეკვავემ ანექსირებულ ყირიმში ორგანიზებულ „ტავრიდის“ ფორუმში მიიღო მონაწილეობა, სადაც თანამედროვე რეჟისურაზე ისაუბრა. ამის გამო უკრაინელმა ნაციონალისტებმა ის შავ სიაში შეიყვანეს. „მიროტვორეცის“ მიერ პერსონა ნონ გრატად გამოცხადებულ პირთა უმეტესობას კიევმა საზღვარი უკვე ჩაუკეტა.**

# რატომ „იდგა ფეხზე" კვირიკაშვილი ოვალურ კაბინეტში?

## ანუ „თეთრი სახლის" სახისმეტყველება

**ახლახან დასრულდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მართლაც ძალიან წარმატებული ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვიზიტის წარმატებას განაპირობებს არა მხოლოდ და არა იმდენად განცხადებები, რაც ზესახელმწიფოს პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა „გააჟღერეს" შეხვედრების შემდეგ, არამედ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ისტორიული გადაწყვეტილება, რაც მას წინ უძღოდა: ამერიკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საბიუჯეტო კანონს, რომლითაც იკრძალება ნებისმიერი ფინანსური დახმარების გაწევა ან სახელმწიფო (!) ინვესტიცია (მაშასადამე, კერძო ინვესტიციების დაზღვევაც OPIC-ის მხრიდან) იმ ქვეყნებისთვის, ვინც აღიარა ან მომავალში აღიარებს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობას.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკაში ბიუჯეტს „Real-პოლიტიკური კონსტიტუციის" მნიშვნელობა აქვს, ამით ვაშინგტონმა ისტორიული ბარიერი დაუწესა სეპარატისტებს (პირველ რიგში აფხაზ სეპარატისტებს) და ისინი ვერც კი იოცნებებენ საერთაშორისო აღიარებაზე, ანუ დარჩებიან დღევანდელ მარგინალთა (ნაურუ-ვანუატუ...) ამარა, რაკი არავინ მოინდომებს „მათ გამო" ამერიკასთან ურთიერთობის გაფუჭებას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს დიპლომატიური გამარჯვება, პირველ რიგში, იმ სულმნათი, გმირი ბიჭების დამსახურებაა, ვინც ავღანეთში დაიღუპა, ხოლო მათი ძმები ახლაც იბრძვიან თავიანთი ქვეყნისთვის — ამერიკელთა მხარდამხარ.

გარდა ამისა, პრეზიდენტ ტრამპის ხელმოწერილი კანონი მოსკოვისთვის განკუთვნილი „მესიჯია", რომ ასე ადვილად და მთლად უმტკივნეულოდ საქართველოს ოკუპაცია-ანექსია არ გამოვა.

* * *

**მიუხედავად ამ უდავო წარმატებისა, ვიზიტს მაინც თან ახლდა ერთი იმედგაცრუება თუ წყენა. კერძოდ, ფოტო, რომელიც ამერიკელებმა გამოაქვეყნეს გიორგი კვირიკაშვილისა და დონალდ ტრამპის შეხვედრის შემდეგ.**




მასზე აღბეჭდილია ჩვენი ქვეყნის მთავრობის მეთაური ამერიკის სახელმწიფოს მეთაურის გვერდით. სახელმწიფოს მეთაური სამუშაო მაგიდასთან ზის, ხოლო მთავრობის მეთაური, ვისაც საქართველოს კონსტიტუციით, რეალური ძალაუფლება აქვს ქვეყანაში — მის გვერდით ფეხზე დგას და საწერ მაგიდას „კომპოზიციისათვის" ცალი ხელით ეყრდნობა.

კვირიკაშვილს ეყო სტილის შეგრძნება, ჭკუა, ნიჭი და გონიერება, მაგიდას ცალი ხელით დაყრდნობოდა, თორემ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კლიმკინი, ვისაც თეთრი სახლის ფოტოგრაფებმა თითქმის ასეთივე კომპოზიციით გადაუღეს ფოტო, ორივე ხელით ეყრდნობა იმავე მაგიდას და მართლა კომიკურად გამოიყურება, მეტი რომ არ ვთქვათ.

თუმცა, არც ჩვენი ფოტოა „პროტოკოლური". ასეთი რამ დიპლომატიაში პროტოკოლის დაუწერელ, მაგრამ ურყევ კანონთა დარღვევად ფასდება. „პროტოკოლის" ტრადიციებით, მაღალ დონეზე შეხვედრის ყველა ნიუანსი წინასწარ გათვლილი და შეთანხმებულია. მათ შორის ფოტოს კომპოზიციაც. იმავე ტრამპმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ტრადიციული „კომპოზიციით" გადაიღო სურათი, ანუ ხელის ჩამორთმევით. მთავარი ის კი არ არის, რომ ასეთივე „კლასიკური" ფოტო მან კვირიკაშვილთანაც გადაიღო, არამედ ის, რომ ლავროვს იგი ვერაფრით გაუბედავდა საწერ მაგიდასთან გვერდით დაყენებას, როგორც კვირიკაშვილსა და კლიმკინს.

პირიქით, სერგეი ლავროვმა ოვალურ კაბინეტში შეხვედრა ჩვეული ოსტატობით გამოიყენა დონალდ ტრამპის უხერხულ მდგომარეობაში ჩასაყენებლად: შეხვედრაზე ელჩი კისლიაკი მიიყვანა, ვინც ახლა „რუსულ დოსიესთან" დაკავშირებული სკანდალის ცენტრშია და, რაც მთავარია, ფოტო მასპინძელ მხარესთან შეუთანხმებლად გამოაქვეყნა.

* * *

**დავუბრუნდეთ ისევ ტრამპ-კვირიკაშვილის „უცნაური" და „არაპროტოკოლური" ფოტოს „სახისმეტყველებას": საქართველოს პრემიერს რომ ყოველივე ძალიან არ ესიამოვნა, იქიდანაც ჩანს, რომ მის საიტზე ეს ფოტო არ არის!**

ერთი შეხედვით, არანაკლებ უცნაურია, რომ თეთრი სახლის ოფიციალურ საიტზე საერთოდ არაფერია ნათქვამი კვირიკაშვილსა და ტრამპს შორის „ოვალურ კაბინეტში" შეხვედრის შესახებ; რაც, სინამდვილეში, ბუნებრივია, რადგან შეხვედრა არაოფიციალური იყო. ამერიკაში მიღებულია ამგვარი დიპლომატიური „ტექნოლოგია": ვითომ შემთხვევით შემოვა ოთახში... ან ვითომ სპონტანურად, დაუგეგმავად აღმოჩნდები მის კაბინეტში და ა.შ.

სამაგიეროდ, კვირიკაშვილთან ფოტოც და მოკლე კომენტარიც ტრამპმა გამოაქვეყნა Twitter-ის საკუთარ გვერდზე, ხოლო თეთრი სახლის ვებსაიტზე მხოლოდ ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრის ცნობაა, რადგან სწორედ ეს შეხვედრა იყო ოფიციალური.

* * *

**„კვირიკაშვილ-ტრამპის" ფოტომ ქართულ პოლიტიკურ წრეებში და პოლიტიკით დაინტერესებულ საზოგადოებაში ყრუ გმინვა გამოიწვია: „ასე რატომ დაგვამცირაო". ამას თინიკო ხიდაშელმა ჩვეულ სტილში უპასუხა: „...სკამზე დამჯდარი კი არა, წამოწოლილიც რომ იყოს, ნატოში ინტეგრაციაში დაგვეხმაროს და რა ვიცი, აბა დანარჩენი რატომ უნდა გვადარდებდეს!"**

აქ ჩემი კომენტარი ზედმეტია.

თანაც, საეჭვოა, ამგვარი „არგუმენტი" ბევრისთვის მისაღები იყოს, თუმცა იმ ადამიანებმა, ვისაც უბრალოდ გაუკვირდათ ტრამპის ესოდენ „არაპროტოკოლური და დამამცირებელი საქციელი", უბრალოდ არ იციან, რა არის ამერიკა! გარდა ამისა, რატომღაც არავინ სვამს კითხვას, რა გახდა ამ სკანდალური დიპლომატიური ინციდენტის მთავარი მიზეზი.

ამერიკა „ელიტარისტული" ქვეყანაა. ალბათ, ყველაზე „ელიტარისტული" მთელ მსოფლიოში. არც ერთ სხვა სახელმწიფოში „რანგირება" არ არის აყვანილი ისეთ „აბსოლუტში", როგორც ამერიკული ტრადიციის მიხედვით.

საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც დონალდ ტრამპი საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ასეთ (!) ფოტოს იღებს, ამით, მისი წარმოდგენით, საქართველოს კი არ ამცირებს, არამედ ხაზს უსვამს რანგთა სხვაობას: „მე პრეზიდენტი ვარ, ის კი (კვირიკაშვილი) მხოლოდ პრემიერ-მინისტრია", — ამბობს ამით ტრამპი. „მე პრეზიდენტი ვარ, ის კი (კლიმკინი) „მხოლოდ" საგარეო საქმეთა მინისტრია".

„აბა გერმანიის კანცლერთან რომ არ გადაიღო ანალოგიური ფოტო?" „აბა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს რომ არ აკადრა იგივე?", „აბა იაპონიის პრემიერ-მინისტრს თუ..."

ეს ბავშვური ნარატივი არ ითვალისწინებს, რომ ტრამპისთვის დიდი ბრიტანეთი — დიდი ბრიტანეთია, გერმანია — გერმანია, იაპონია — იაპონია, ხოლო საქართველო — საქართველო! და ამას ვერსად წავუვალთ: ტრამპს და მის თანაშემწეებს ნამდვილად არ სცალიათ ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციურ ნიუანსებში გარკვევისთვის. ტრამპმა მხოლოდ ერთი რამ იცის დანამდვილებით: იგი ხალხმა აირჩია, კვირიკაშვილი კი — არა!

მანამდე, 2004 წლიდან დაწყებული, ამერიკის პრეზიდენტი ხომ არც ერთხელ არ შეხვედრია საქართველოს პრემიერ-მინისტრს?! განა ჯორჯ ბუში და ბარაქ ობამა რომელიმე ქართველ პრემიერს ესაუბრა ოვალურ კაბინეტში? ზურაბ ჟვანიასაც კი არა.

ეს პირველი შეხვედრა იყო. და (ვიმეორებ) უნდა ვიცოდეთ ამერიკული პოლიტიკური კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი: ტრამპი არჩეულია, კვირიკაშვილი — არა. ამერიკელებს კი დემოკრატიისადმი განსაკუთრებული მოკრძალება ახასიათებთ. ამიტომ სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას: გიორგი კვირიკაშვილი არა პრემიერ-მინისტრი, არამედ საქართველოს პრეზიდენტი რომ ყოფილიყო, დონალდ ტრამპი მასთან ასეთ ფოტოს არავითარ შემთხვევაში არ გადაიღებდა — როგორი ქედმაღალი და თავხედიც არ უნდა იყოს თვითონ პიროვნულად. იმიტომ, რომ ეს არა პროტოკოლური ნორმების, არამედ ამერიკაში მიღებული კულტურული ტრადიციის მეტისმეტად უხეში დარღვევა იქნებოდა.

აქედან გამომდინარე, არა მხოლოდ საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან, არამედ დასავლეთში პატარა საქართველოს „აღქმის" და მკაფიო „იდენტიფიკაციის" აუცილებლობიდან გამომდინარე, ჯერ მიშა სააკაშვილის, შემდეგ ტრადიციულად რეგვენი და უპასუხისმგებლო ქართული „პოლიტელიტის" უდიდესი (დანაშაულებრივი) მატრაკვეცობა იყო ქვეყანაში სრულფასოვანი საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმება და ნახევრადსაპარლამენტო, ახლა კი სრულად საპარლამენტო მოდელზე გადასვლა.

ამ უაზრო, დანაშაულებრივად ავანტიურისტულ და ბრიყვულ გადაწყვეტილებას ყველაზე მეტად და უკეთ უსვამს ხაზს „ოვალურ კაბინეტში" გადაღებული მართლაც გულდასაწყვეტი ფოტო.

**ნიკა იმნაიშვილი**

## პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში კიდევ ერთი კომპანია შექლებს გაფართოებას

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამა „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში 250 საწარმოთა შორის მხარდაჭერილი — შპს „მილი" წარმოებას ზრდის.**

**შპს „მილი" ეკალ-მავთულს, ლურსმანს და მავთულბადეს აწარმოებს. კომპანია წარმოების გაზრდას, მაღალტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების შეძენასა და საკუთარი საქმიანობის გაფართოებას გეგმავს. კომპანია გაფართოვების შემდეგ მავთულბადის სხვადასხვა სახეობის დამატებას და 20-მდე ადამიანის დასაქმებას გეგმავს.**

**შპს „მილი" რუსთავის გზატკეცილის №36-ში მდებარეობს და პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას სსიპ „აწარმოე საქართველოში" განახორციელებს, ხოლო სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 318 500 ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში უკვე მხარდაჭერილია 251 პროექტი, რომელთა საერთო ინვესტიციის მოცულობა 569 000 000 ლარზე მეტია, ხოლო ჯამურად დასაქმდება 11 000-ზე მეტი ადამიანი.**

## განვითარებულ ტურისტულ ინდუსტრიებს შორის საქართველო 70-ე ადგილზეა

**მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის რეიტინგში, რომელსაც ყოველწლიურად მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი აქვეყნებს, ლიდერ პოზიციაზე ესპანეთია.**

**Travel and Tourism Competitiveness Report-ის მიხედვით, რეიტინგის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ფაქტორები: მთავრობის გახსნილობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, საჰაერო მიმოსვლა, ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობები, უსაფრთხოება და სხვა.**

**რეიტინგში მეორე ადგილზეა საფრანგეთი, ხოლო მესამეზე — გერმანია. „ტოპ-10"-ში ასევე მოხვდნენ: იაპონია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, ავსტრალია, იტალია, კანადა და შვეიცარია.**

## მთავარი რედაქტორისგან:

*ეროვნული ტრაგედია, რაც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში დაგვემართა, დღესაც გვიფორიაქებს სულს... აფხაზთა და ოსთა ყურით მოთრეული პრეტენზიების საფუძველი, დიდი ქართველი დასტაქარისა და მამულიშვილის, მედიცინის დარგში ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, ლეგენდარული ტრავმატოლოგის, აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის აზრით, ქართველთა გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობა, საკუთარი ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე სტუმრის ცამდე აყვანა და პათოლოგიურობამდე, სიბრიყვემდე მისული ინტერნაციონალიზმია!*

*ჩრდილოეთ ოსეთში გაზრდილი და დავაჟკაცებული მოხევე კაცი, უამრავი მეგობარი და ნაცნობი რომ ჰყავდა ნამდვილ ოსეთში, — ორჯონიკიძესა თუ არდონში, 80-იანი წლების ბოლოს აღშფოთებულია საქართველოს მიწა-წყალზე დამკვიდრებული ზოგიერთი მომთაბარის უსაფუძვლო პრეტენზიებით. 60 წელს გადაცილებული ექიმი და მეცნიერი საოცარი პრინციპულობით ამხელს არა ოდენ ჯაყოს სინდრომით დაავადებულ ოს „მოღვაწეებს“, არამედ უსუსურ და უნიათო ქართველ პოლიტიკანებსაც, რომელთა დემაგოგობით, პროვოკაციით და ქვეყნისთვის ზურგში დანის ჩარტყმით „ერთმორწმუნე“ რუსეთმა მალე მოახერხა საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება!*

*მკითხველს ისიც უნდა შევახსენო, რომ დიდი პატრიოტი და მამულიშვილი ოთარ ღუდუშაური ამ წერილის დაწერიდან ორიოდე წლის შემდეგ თბილისში ატეხილ მორიგ უბედურებას, ძმათამკვლელ ომს შეეწირა...*

*საგურამოში, დასვენების დღეს, აგარაკზე მყოფმა, ტელევიზორი იმ დროს ჩართო, როცა კანონიერი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი განწირული გაიძახოდა: მოგვეშველეთ, „თანამოძმეები“ გვხოცავენო!*

*— აუცილებლად თბილისში უნდა დავბრუნდეთ! — შესძახა მეუღლეს.*

*— თუ დასჭირდები, დაგირეკავენ, იქნებ ცოტა მაინც დაისვენო!..*

*— არა, არა! ვინ იცის, დაჭრილებს როგორ უჭირთ!*

*ათიოდე წუთის შემდეგ, მცხეთასთან მძღოლს მანქანა შეაჩერებინა, ჰაერი არ მყოფნის, ძალიან ცუდად ვარო!..*

*მცხეთის მედპუნქტში მისვლა მოასწრეს...*

*— „რუსთაველზე ქართველები ერთმანეთს ხოცავენ?!“ — ამის თქმა მოასწრო და დადუმდა!*

*— ფართო ინფარქტი, 66 წლის ასაკში ეს ბრგე ვაჟკაცი მოულოდნელად გარდაიცვალა, ვინც მას იცნობდა, ყველა დამეთანხმება, თუ როგორი ძლიერი პიროვნება იყო ის!*

*დღეს ოთარ ღუდუშაურის დაბადების დღეა, ამიტომაც სრულიად ბუნებრივია მისი გახსენება 1989 წლის 12 დეკემბერს გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული (სხვაგან არ დაბეჭდილა!) ერთობ აქტუალური და დღესაც დამაფიქრებელი, ჭკუის სასწავლი წერილით.*

*დიდი მადლობა მამის კვალზე შემდგარ ცნობილ მკურნალს, პროფესორ მარინე ღუდუშაურს, რომელმაც ეს წერილი მოგვაწოდა.*

**სპარტაკ ქოზულია**



# კმარა! კმარა! კმარა!

**აი სადამდე მიგვიყვანა ჩვენმა უხერხემლობამ, დათმობამ, გადაჭარბებულმა სტუმართმოყვარეობამ და არასწორად გაგებულმა ინტერნაციონალიზმმა. ჩვენს თანამოძმეებს ისე გასჯდომიათ ტვინში დაუსჯელობის, ყველაფრის ქმნის უფლების რწმენა, რომ საკუთარი ღირსების დასაცავად ხმის ამოღებასაც კი დანაშაულად გვითვლიან.**

ძნელად თუ მოიძებნება დღეს ქართველი კაცი, ჩვენს სამშობლოში ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილი დაძაბული მდგომარეობა მუდმივი ფიქრის, განსჯის, დარდისა და მოუსვენრობის საგნად რომ არ ჰქონდეს გადაქცეული. ცხადია, მეც არ ვარ გამონაკლისი, მეც მაქვს თვალსაზრისი ამ საკითხზე, შეიძლება არცთუ ახალი და ორიგინალური, მაგრამ ეს ხომ არ არის მთავარი. დღემდე არც მიფიქრია მისი საჯაროდ გამოტანა, რადგან ვხედავ, რომ ჩვენი მწერლები, ჰუმანიტარი მეცნიერები და ეროვნული მოძრაობის ლიდერები ჩემზე უკეთ ახერხებენ ხალხთან საუბარს. მაგრამ როცა ამდენ მოუშუშებელ ჭრილობას კიდევ ერთი დაემატა, როცა მოხდა ის, რასაც ადრე ვერაფრით წარმოვიდგენდი, გაჩუმების უფლებას ვეღარ მივცემ თავს.

აზრის გამოთქმის საბაბს მაძლევს საქართველოს ტელევიზიით 30 ნოემბერს გადაცემული შეხვედრა ცხინვალის მოსახლეობასთან, ხოლო უფლებას — ოსებთან ჩემი მრავალწლიანი მეგობრობა და ის დიდი ტკივილი, რაც მომაყენა ჩვენს შორის ჩამოვარდნილმა გაუგებრობამ თუ რაღაც შავბნელი ძალების მიერ ინსპირირებულმა უთანხმოებამ.

მიუხედავად იმისა, რომ არც მე და არც ჩემს წინაპრებს არავითარი სისხლისმიერი კავშირი არ გვქონდა ოსებთან, მაინც გვაკავშირებდა მათთან (და დღესაც გვაკავშირებს), არანაკლებ ძლიერი გრძნობა, რასაც მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა ჰქვია.

მამაჩემმა ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზში დაამთავრა სკოლა, მეც რამდენიმე წელი ვსწავლობდი ჯერ ქალაქ ორჯონიკიძის ქართულ სკოლაში, შემდეგ იქვე დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი და სამ წელიწადს ვმუშაობდი ჩრდილოეთ ოსეთის შუაგულში — არდონის რაიონული საავადმყოფოს ქირურგად და გაერთიანების მთავარ ექიმად.

ადვილი გასაგებია, თუ რამდენი მეგობარი მყავს ოსთა შორის, რომლებთანაც თბილი, უანგარო ურთიერთობა არც მოსკოვში ცხოვრების 18 წლის მანძილზე გამიწყვეტია და არც საქართველოში დაბრუნების შემდეგ. არც ის უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი, თუ რას განვიცდი, როცა ვხედავ, რომ რაღაც ძალა, ჯერჯერობით ზოგიერთ ოს „ეროვნულ მოღვაწეში“ რომ არის განსხეულებული, რა გულმოდგინედ ცდილობს, დაანგრიოს ორი მოძმე ერის საუკუნოვანი მეგობრობით, თანაცხოვრებითა და სისხლისმიერი ნათესაობით შედუღაბებული კავშირი.

საქმე იქამდე მივიდა, ისე აუმღვრიეს გონება ოს ხალხს, რომ მისმა ნაწილმა საერთოდ დაივიწყა, როდის და რა პირობებში მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ჩამოყალიბება, უცილობლად მიიჩნია ძირძველ ქართულ მიწებზე თავისი მონოპოლიური უფლება და საეჭვოდაც კი გახადა აქ ოსების ჩამოსახლების ფაქტი. ადვილი წარმოსადგენია, რას იტყვიან მათი შვილები და შვილიშვილები 50-100 წლის შემდეგ, მეტი რომ არ ვთქვათ, გასაკვირია, მაგრამ ფაქტს მართლაც ვერსად გაექცევი.

როდესაც ვუფიქრდები, რა არის ასეთი შემაძრწუნებელი პრეტენზიების საფუძველი, ჩემდაუნებურად ვასკვნი რომ სხვა მრავალ მიზეზთა შორის ერთ-ერთი მთავარია ქართველთა გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობა, საკუთარი ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე სტუმრის ცამდე აყვანა და პათოლოგიურობამდე მისული ინტერნაციონალიზმი, სხვაგვარად როგორ აიხსნას პაწაწინა საქართველოს მიწაზე ამდენი ავტონომიის შექმნა და იქ ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა დასმა.

ოსეთში ჩემი ცხოვრების პერიოდში ქალაქ ორჯონიკიძის ერთ-ერთ რაიონში მოსახლეობის უმეტესობას ქართველები წარმოადგენდნენ, მაგრამ არავის, არც ოსს და არც ქართველს, აზრად არ მოსვლია რაიკომის მდივნად ან რაიაღმასკომის თავმჯდომარედ ქართველი დაესვათ, ასეთივე მდგომარეობაა საინგილოში, სადაც მიუხედავად ქართველების უმრავლესობისა, რაიონის ხელმძღვანელები ყოველთვის აზერბაიჯანელები არიან. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით ხდებოდა.

ალბათ, მხოლოდ გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობით, ვაიინტერნაციონალიზმითა და საკუთარი ისტორიისადმი გარკვეული გულგრილობით შეიძლება აიხსნას ის გარემოება რომ კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის საქალაქო საბჭომ მიიღო დადგენილება ოქტომბრის რაიონში მისი ძეგლის დადგმის თაობაზე, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების 130 წლისთავზე, რომელიც იმავე წელს აღინიშნა, არავის აზრადაც არ მოსვლია მისთვის თბილისში ძეგლი აღემართათ.

სხვაგვარად როგორ ავხსნათ ისეთი დიდი საჩუქარი (რაც მიიღო ოსეთმა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ხარჯზე და ჩვენსავე საზიანოდ) — ტრანსკავკასიური საავტომობილო გვირაბი. 70-იან წლებში ხშირად წერდნენ, თითქოს ეს გვირაბი 70 კილომეტრით ამცირებს მანძილს თბილისსა და ორჯონიკიძეს შორის, ტრაბახით მიუთითებდნენ მის თითქოსდა ფრიად დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. ეს იყო წმინდა წყლის ტყუილი, რადგან ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ამ ორი სამრეწველო ცენტრის შემაერთებელი უახლოესი გზა ოდითგანვე გახლდათ საქართველოს სამხედრო გზა, და თუ მიმოსვლის გაადვილებაზე იყო ლაპარაკი, სწორედ ამ მაგისტრალის გაფართოება-გაუმჯობესებასა და ზამთრის პერიოდში ზვავებისაგან დაცვისთვის უნდა გვეზრუნა. აკი დაიწყო კიდეც 60-იანი წლების ბოლოს საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქცია. დაიხარჯა რამდენიმე მილიონი მანეთი მოსამზადებელ სამუშაოებზე, გაკეთდა ბეტონის ბურჯები ესტაკადებისთვის, იყო დიდი ფუსფუსი და თავგამოდება, და ყველაფერი ეს თითქოს ჯადოსნური ჯოხის აქნევით ერთბაშად შეწყდა. ჩაყრილი ბურჯები ფუჭად დარჩნენ, მუშები დაითხოვეს და იმ დროისთვის ჩვეული პროპაგანდისტული ზარ-ზეიმით დაიწყო ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალის ინტენსიური მშენებლობა.

ჰქონდა აზრი ამ უზარმაზარ მშენებლობას? ვთვლი, რომ არა. ამათ ისიც ადასტურებს, რომ მაგისტრალმა გაადიდა მანძილი თბილისსა და ორჯონიკიძეს შორის არანაკლებ 100 კმ-ით და რაც მთავარია, ზამთარში, განსაკუთრებით ბოლო წლებში გახშირებული დიდთოვლობის პირობებში თვალნათლივ გამოჩნდა მისი სრული უსარგებლობა. ასე რომ, ახლა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი არც ერთი გზა არა გვაქვს, მთელ წელიწადს გამტარუნარიანი რომ იყოს, ზაფხულობით კი თითქმის მთელი დატვირთვა ძველებურად საქართველოს სამხედრო გზას აწვება. ტრანსკავკასიური მაგისტრალი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებს დანიშნულებას, თუ მისი რეკონსტრუქციისათვის იმდენივე მილიონი დაიხარჯება, რამდენიც მის გასაკეთებლად ფუჭად გადავყარეთ. ამ გზის მთავარი აზრი მაშინაც და ახლაც მხოლოდ სამხრეთი და ჩრდილო ოსეთის შეერთება იყო და სხვა არაფერი.

ეს ყველაფერი შეიძლება დაგვეთმო მეგობრობის განსამტკიცებლად, მაგრამ ვინ დაგვიფასა სიკეთე.

**ჩვენი სიკეთის სანაცვლოდ აი, უკვე 30 წელია, გრძელდება ჩრდილო ოსეთიდან ქართველების მეთოდური გამოსახლება, მათთვის ცხოვრებისა და შრომის ყოველგვარი პირობების შეზღუდვის გზით. განა მსგავსი რამ ქართველებს, რომელიმე ერისთვის გაუკეთებია ოდესმე?**

ზემოთქმულს ისე ნურავინ გამიგებს, თითქოს მსურდეს, ჩვენს მეზობლებს მათზე გაწეული ამაგი დავაყვედრო. სრულიადაც არა, მინდა მხოლოდ შევახსენო ოსებს, რომ ძალიან ღრმად აქვს გადგმული ფესვები ჩვენს მეგობრობას და ამ ფესვების გახმობა ისეთი დანაშაული იქნება, რომელსაც შთამომავლობა არ გვაპატიებს. განა ჩვენ, ორი მეზობელი ერი, უფრო არ გავუგებთ ერთმანეთს, ვიდრე ვილაც მესამე გაგვიგებს? ნეტავ რას ფიქრობენ ნამდვილ ოსეთში მცხოვრები თუნდაც ჩემი მეგობრები ყოველივე ამაზე, ნუთუ თანაუგრძნობენ თავიანთი სამხრეთელი ძმების უაზრო პრეტენზიებს. რას ნიშნავს მათი დუმილი: თანხმობას, გულგრილობას, შიშს თუ პროტესტს?! არ ვიცი, იქნებ გამომრჩა კიდეც, მაგრამ მე ჯერჯერობით არ შემხვედრია არც ქართულ, არც საკავშირო პრესაში ჩრდილოელ ოსთა თვალსაზრისი ამ მეტად საჭირბოროტო საკითხზე.

ეს წერილი თითქმის დამთავრებული მქონდა, როდესაც პირველ დეკემბერს საქართველოს ტელევიზიით სამხრეთ ოსეთის სახალხო ფრონტის „ადამონ ნიხასის“ ერთ-ერთი ლიდერის ვ. გაზაევის გამოსვლა მოვისმინე. გაოცებული ვუგდებდი ყურს მას და ალბათ, ბევრი ქართველივით, მეც შიგადაშიგ მწარედ მეცინებოდა. ოსებსა და ქართველებს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტში არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ ქართულ პრესას, ქართველ ინტელიგენციას, საქართველოს მთავრობას და საერთოდ, ქართველ ხალხს ედება ბრალი! **ჭეშმარიტად — გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო. თურმე ნუ იტყვით, შეიძლება გაგლანძღონ, ლაფში ამოსვარონ შენი ეროვნული ღირსება, შენთან ანგარიშის გასწორებისაკენ მოუწოდონ და შენ ამის შესახებ არაფერი უნდა იცოდე, ხოლო თუკი შემთხვევით შეიტყვე, ყველაფერი უნდა ჩაყლაპო, პირში წყალი ჩაიგუბო, დამალო.** ამას ამტკიცებს ადამიანი სერიოზულად, შეგნებულად და რამ-

დენადაც მისი ფიზიონომიის მიხედვით დავადგინე, საკუთარი სიმართლის რწმენით, განა არ გეცნაურათ?! აი, სადამდე მიგვიყვანა ჩვენმა უხერხემლობამ, დათმობამ, გადაჭარბებულმა სტუმართმოყვარეობამ და არასწორად გაგებულმა ინტერნაციონალიზმმა. ჩვენს თანამოძმეებს ისე გასჯდომიათ ტვინში დაუსჯელობის, ყველაფრის ქმნის უფლების რწმენა, რომ საკუთარი ღირსების დასაცავად ხმის ამოღებასაც კი დანაშაულად გვითვლიან.

აქ აღარ შევუდგები ქართლის მიწებზე ქართველთა ისტორიული უფლების დასაბუთებას. ეს ჩემი კომპეტენცია არ არის და ამაზე ტელესტუდიაში შეკრებილმა ქართველმა მეცნიერებმა კარგი გამგონისათვის საკმარისად გასაგებად თქვეს. უბრალოდ მინდა ვ. გაზაევის მიერ ჩვენდამი წამოყენებულ სულ რამდენიმე პრეტენზიას შევეხო ზოგადად.

შეკითხვაზე, მაინც ვისია ახლანდელი სამხრეთ საქართველოს მიწებიო, ვ. გაზაევმა ნირშეუცვლელად უპასუხა: იმისია, ვინც მასზე ცხოვრობს. ამიტომ გვინდა, ავტონომიურ რესპუბლიკად გადავკეთდებით, გვინდა, გამოგეყოფით და ჩრდილო ოსეთს შევუერთდებითო. აღარ ვიცი, რა დავარქვა ყოველივე ამას. ვ. გაზაევის „ლოგიკით“ გამოდის, რომ ის დრო დაგვდგომია, 20-იან წლებში ქართველ ემიგრანტთა მიერ საფრანგეთის შუაგულში შესყიდული ლევილის მამული ქართულ ავტონომიად გამოვაცხადოთ და მისი საქართველოსთან შემოერთება მოვითხოვოთ. ჩვენ ოსი ძმებისგან განსხვავებით ბეჭდიანი ნასყიდობის ფურცელი მაინც გვაქვს იმ მიწაზე.

თუმცა ვ. გაზაევმა იქვე „დაგვამშვიდა“ – თქვენ ნუ გეშინიათ, ამის გაკეთებას ახლავე კი არ ვაპირებთ, დღეს ამისთვის მზად არა ვართო. აი, ხვალ კი, როცა ავტონომიურ რესპუბლიკად გადავკეთდებით, საკუთარ კონსტიტუციას მივიღებთ, მოვმძლავრდებით (უნდა ვიგულისხმოთ, როცა თქვენს ენას და თქვენს ხალხსაც აქედან გუდა-ნაბადს აგიკრავთო), მაშინ თავისთავად დადგება ჩრდილო ოსეთთან შეერთების საკითხიო, თან პატარა ბავშვივით დაგვმოძღვრა გაზეთიდან ამოღებული ციტატით: „აბა, რომელი ერი არ იოცნებებს გაერთიანებაზეო“, გეკითხებით: შეიძლება ამაზე შორს წავიდეს ადამიანის ცინიზმი და თავხედობა?!..

ვ. გაზაევს თუ დავუჯერებთ, „ადამონ ნიხასის“ მოღვაწეობის მთავარი და ლამის ერთადერთი მიზანი სამხრეთ ოსეთში დაჩაგრული ოსური ენის განვითარებაზე ზრუნვაა. კეთილი და პატიოსანი. მერედა ვინ ან რა უშლის ხელს ოსებს ამ ზრუნვაში, ვინ ჩაგრავს ოსურ ენას? თურმე, ისევ და ისევ ქართველები! კი მაგრამ, რა გამოგდით, ბატონო ჩემო, საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მის ძირძველ მიწაზე საშუალო სკოლებში ყველა ენა – ოსურიც, რუსულიც, ინგლისურიც, გერმანულიც, ფრანგულიც აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს და მხოლოდ რესპუბლიკის სახელმწიფო ენის – ქართულის შესწავლა უნდა იყოს ნებაყოფლობითი და სასხვათაშორისო? ამას რაღა დავარქვათ?

ვინ, რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ ოსური ენის განვითარებას ქართველები უშლიან ხელს. გავიხსენოთ უახლოესი წარსული. 50-იან წლებში, ჩრდილოეთ ოსეთში, მის დედაქალაქში, ჩემი იქ ცხოვრების პერიოდში დაიხურა ერთადერთი და უკანასკნელი ოსური საშუალო სკოლა და დღეს, ვ. გაზაევის თქმისა არ იყოს, მხოლოდ შორეულ სოფლებში თუღა შემორჩნენ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ოსი ბავშვები, რომლებიც რუსულ სკოლებში შესვლის შემდეგ შინ ნასწავლ ოსურსაც ივიწყებენ.

იქნებ ამაშიც ქართველები ვართ დამნაშავე? ქართველებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ ორჯონიკიძეში შეინარჩუნეს ქართული საშუალო სკოლა, რითაც საკუთარი ენის სიყვარული, საკუთარი თვითმყოფადობის დაცვის საუკეთესო მაგალითი უჩვენეს მოძმე ოს ხალხს, მაგრამ მარტო მაგალითი რას უშველის, თუ მას დიდი სურვილი და აღტკინებული გული არ შეეგება.

აი, ასეთი მდგომარეობაა ჩრდილო ოსეთში, ნამდვილ ოსეთში. ახლა ვნახოთ, როგორაა საქმე ჩვენთან, საქართველოს ოსეთში, აქ სწავლება მეოთხე კლასის ჩათვლით ოსურ ენაზეა, შემდეგ კი უკლებლივ ყველა რუსულზე გადადის. შეკითხვაზე, თუ რატომ ხდება ასე, რატომ ბოლომდე არ განაგრძობენ ბავშვები ოსურად სწავლას, ვ. გაზაევმა ვერაფერი ოდნავ მაინც ჭკვიანური და გარკვეული ვერ უპასუხა. ყველაფერი ოსურ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოების უქონლობას გადააბრალა. კი მაგრამ, ამაშიც ჩვენ ვართ დამნაშავე? იქნებ მოითხოვთ ჩვენ, ქართველებმა დაგიწეროთ ოსური სახელმძღვანელოები? მაშ, რისთვის გაქვთ პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რისთვის გყავთ ინტელიგენცია, მწერლები, მეცნიერებათა კანდიდატები, დოქტორები და პროფესორები, რომელთა დიდი ნაწილი სწორედ თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდა? ვინ უნდა გააკეთოს თქვენი გასაკეთებელი საქმე, თუ არა თქვენ?

ვ. გაზაევმა საუბარში მუქარაც შემოგვაპარა – ვამზადებთ დიდ დელეგაციას მოსკოვში გასაგზავნად, იქიდან მაინც დაგვეხმარონ, რაკიღა თქვენ არ გსურთ, ყურად იღოთ ჩვენი მოთხოვნებიო.

გაუგებარია ოსი ხალხის ერთი ნაწილის მოთხოვნა სამხრეთ ოსეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. საოცარია პირდაპირ! აფხაზეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, ყველგან ერთნაირი სურათი, ყველგან ერთნაირი სცენარი: იმ დროს როცა დიდ საწუხარზე ვართ დაკავებული, როცა ღალატს არ ველოდებით, სწორედ მაშინ გამოხტებიან საფარიდან, ზურგში დანას ჩაგვცემენ, სისხლს დაგვადენენ, მერე უკანვე შეიყუჟებიან და განწირული ხმით უხმობენ საშველად სხვას. რა უნდა იყოს ამგვარ საქციელზე უფრო დიდი ბოროტება, უზნეობა, ცოდვა? საოცარია, ყველგან ასე ერთნაირად როგორ დეფორმირდება ადამიანების ფსიქიკა, რომ თვით ექიმებიც კი არა მარტო ივიწყებენ თავიანთ უპირველეს მოვალეობას – ყველა ვითარებაში უყოყმანოდ აღმოუჩინონ დახმარება ავადმყოფს, მიუხედავად მისი ეროვნებისა და პოლიტიკური მრწამსისა, არამედ პირწმინდად უგულებელყოფენ მედიცინის უპირველეს კანონს „არ ავნო“, და სადისტური, ცივსისხლიანი გულგრილობით ხელყოფენ მათ ჯანმრთელობას. რამდენი ხანია, აღშფოთებული ქართველი ხალხი მოითხოვს უღირსი აფხაზი და აზერბაიჯანელი ექიმების დასჯას, მაგრამ ჩვენი მოთხოვნა კვლავაც უპასუხოდ რჩება. ამ უსუსურმა მოთმინებამ, ვიღაცის თუ რაღაცის მიმართ მორიდებამ, ნახევრად სიმართლემ, მდგომარეობის უფრო გამწვავების უსაფუძვლო შიშმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ახლა ზოგიერთმა ოსმა ექიმმაც ისეთი არნახული დანაშაული ჩაიდინა, რომელსაც, ძალიანაც რომ გვინდოდეს, მაინც ვერაფრით ვერ მივაკუთვნებთ მხოლოდ მორალურ კატეგორიას. მიმაჩნია, რომ ასეთი სახედაკარგული პირები დაუყოვნებლივ უნდა მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ბოლო სესიამ სამხრეთ ოსეთის ამბების გამომკვლევი კომისია შექმნა, თუმცა სესიის წინ ამდენი უსამართლობითა და ღალატით აღშფოთებული საზოგადოებრიობა უფრო რადიკალურად იყო განწყობილი, მაინც იმძლავრა ქართველი ხალხის თანდაყოლილმა მოთმინებამ და თავდაჭერამ, მოყვასის სიყვარულმა, ჩვენ ერთხელ კიდევ მივეცით ჩვენს თავს საშუალება, დაწყნარებულად, გულგახსნილი ურთიერთობით მოვაგვაროთ ჩვენი წინააღმდეგობანი, კიდევ ერთი შანსი მივეცით ჩვენს თანამოძმეებს გამოფხიზლებისთვის, ვფიქრობთ, აქედან ყველამ სწორი დასკვნა უნდა გააკეთოს.

ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მოწვევამდე მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში უზენაესმა საბჭომ უნდა გამოიყენოს ყველა კონსტიტუციური უფლება საქართველოს მთლიანობის დასაცავად.

ხოლო ზოგიერთ ოს „მოღვაწეს“, რომლებიც გონება უმღვრევენ ჩვენს მოძმე ხალხს, მინდა, მივმართო: არა, საკუთარ გულში ჩახედვას არ გთხოვთ, ისედაც კარგად ვიცი, იქ რა ბალღამიცაა, მხოლოდ ერთს გირჩევთ დაბეჯითებით – დაფიქრდით, გონებას მოუხმეთ, ავის საქმნელად ნუ უბიძგებთ თქვენს ხალხს, ნუ აიკიდებთ ასეთ დიდ ცოდვას, ნუ უწყობთ ასეთ მძიმე გამოცდას ქართველი ხალხის მოთმინებას. გახსოვდეთ „რომელი სასამართლოთიც ასამართლებთ, გასამართლდებით, და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, მოგეწყვებათ თქვენ“.

**ოთარ ღუდუშაური,**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრკ სახალხო დეპუტატი**

◉ მოქალაქის პოზიცია

# არა შეჯდა მწყერი ხესა...

**ახლა ვესაუბრე მთავარი პროკურატურის პროკურორ პაპავას ადმინისტრაციის წარმომადგენელს და საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, რომ „არა შეჯდა მწყერი ხესა“... მაგრამ ეს რომ მარტო მწყრის დონის საკითხი იყოს, კიდევ არაფერი. აქ საქმე გვაქვს სახელისუფლებო სისტემურ დანაშაულთან, დიახ, სახელისუფლებო სისტემასთან, რომლისგანაც, სანამ ეს სისტემა არსებობს, რაიმე მცირედი იმედის ქონა შეუძლებელია. უკვე სამი ხელისუფლებაა, როგორც ტყუპები, ისე გვანან ერთმანეთს, დამნაშავეთა ჯგუფი მოდის ხელისუფლების მანტიით და სჩადის არგაგონილ, ქვეყნის დამაქცევარ ბოროტმოქმედებებს ერთმანეთის ლანძღვის ფონზე, სინამდვილეში, ერთი ბოსლიდან გამოსულები არიან, მაგებინეთ პასუხი ცილისწამებისათვის, თუ ცოტა თავმოყვარეობა შეგრჩათ. მაგრამ ამას ვერ გაბედავთ, იმიტომ, რომ ეს გახდება თქვენი პოლიტიკურ სამარეში გასტუმრების საბაბი.**

აბა სხვაგვარად როგორ შეიძლება იყოს, როცა:

პირველი: მითხარით ერთი, როდის შემდეგ გახდა ობლიგაცია ხელწამოსაკრავი საკუთრება, სახელმწიფო ობლიგაცია, შეძენილი ჯიბიდან ამოღებული ნაღდი ფულით? ფულით, რომელიც ნაგროვებია დანაზოგით. არადანაშაულებრივად ნაშოვნი, ყველა დროში დასჯადი ქმედება იყო. მეორეს მხრივ, ამ თანხების გაცემა სააკაშვილის დროსაც და დღესაც ხორციელდება ორგანული კანონის (ეროვნული ბანკის) 69-ე მუხლის წყალობით, თუმცა არა ჩემისთანა უპატრონოებზე. და კიდევ: კრიმინალური სააკაშვილის 108-ე ბრძანებულება (თავიდანვე ბლეფი) დღესაც ამ ხელისუფლებისთვის გამოსაყენებელი არგუმენტია, მაგრამ დავუშვათ, რომ ამ ბრძანებულებით შექმნილი კომისია იყო რეალური და კანონიერი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ბრძანებულებით 14 წელია, უვადდება შექმნილ კომისიას უფლებამოსილება. ეს გახლავთ კორუფციული დანაშაული, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი სოციალურია და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებს.

მეორე: არამზადა ზაზა რუხაძის საქმე. ტიტულოვანმა იურისტმა, როცა ის საიას „პრეზიდენტი“ იყო, სანოტარო ნასყიდობის დოკუმენტს ორჯერ გააყალბა, ეს რა, სამოქალაქო საქმეა, როგორადაც მას პროკურატურაში მისახავენ? თან მე პირდაპირ ვწერ და დოკუმენტებსაც ვადგენ რუხაძის დანაშაულებრივ ქმედებებზე, მარტო ის ფაქტი, რომ რუხაძემ სანოტარო დოკუმენტის მეორედ გაყალბება იმით განახორციელა, რომ საერთოდ მოაცილა დასკვნითი მეოთხე გვერდი და მიაკრა სუფთა ფურცელი, თავისი წარმომადგენლის დიანა ბერეკაშვილის ხელმოწერით, ბერეკაშვილი დღეს საქალაქო სასამართლოს მოსამართლეა, სწორედ ამ ყალბისმქნელობით და მოსამართლე ნინო შარაძის დანაშაულებრივი მარიონეტული გადაწყვეტილებით მოხდა ჩემს საკუთრებაში შემოჭრა. აქ კიდევ ერთი უზნეო დანაშაული: უფრო ადრე სამსახურიდან გათავისუფლებულ იქნა მოსამართლე საბიაშვილი, მხოლოდ იმიტომ, რომ მან გამოიტანა რუხაძისთვის მიუღებელი გადაწყვეტილება, თუმცა ეს გადაწყვეტილება არაფერ დიდ პრობლემას არ ქმნიდა რუხაძისათვის.

მესამე: მე აღარ ვედავები თაღლით ნანა ზამბახიძეს, მე ბრალს ვდებ პოლიციელ რუსლან მგელაძეს, რომელმაც არამც თუ პრევენცია განახორციელა მცირედ თაღლითურ ქმედებებზე, მან მწირი ქრთამის სანაცვლოდ (დიახ, ქრთამი ლამაზი თვალებისათვის, ეს საყოველთაოდ ცნობილია), დამნაშავეს არავინ პატიობს. ამ პოლიციელმა არა მარტო გაამართლა დამნაშავე, არამედ დაარიგა კიდევაც, როგორ მოქცეულიყო, რათა საერთოდ უარეყო დანაშაული. მე პირდაპირ ვაცხადებ: მგელაძემ აიღო საქმესთან შესაბამისი მცირე ქრთამი, მაგრამ მაინც ქრთამი, რითაც



ჩაიდინა პოლიციელისათვის შეურაცხმყოფელი და ჩემთვის ზარალის მომტანი ქმედება.

მივმართავ საქართველოს პრემიერ-მინისტრს: ბატონო პრემიერო! მე წინა გზავნილებშიც პრეტენზიას გამოვთქვამდი იმ საკითხების გამო, რომლებიც ისე დაიკარგა თქვენს გარემოცვაში, მისი კვალიც არსად მოიპოვება. გიცხადებთ – თქვენ შეგიძლიათ, გამოიყენოთ თქვენი უფლებები თანამდებობის პირებისათვის შეურაცხყოფის გამო, ეცადოთ, მაგებინოთ პასუხი კანონის მთელი სიმკაცრით, თუმცა თქვენ ასეთი ქმედებით ჯერ ერთი თქვენს დანაშაულებრივ სისტემას კიდევ უფრო გამოაჭენებთ საზოგადოებაში და მეორე მხრივ, მე შესაძლებლობა მომეცემა, დამატებით კიდევ უფრო მძიმედ გამხილოთ გადაცდომებში.

ისე, კაცმა რომ თქვას, იმ ფონზე, რა სიბინძურითაც გებრძვიან თქვენთან ნაკოჰაბიტაციევი ნაცები, შეუდარებელ ხელოვნებას უნდა ფლობდეთ რომ საკუთარი მხარდამჭერები მტრად აქციოთ, მტერთან კი იკოჰაბიტაციოთ, ეს იმის საფუძველსაც იძლევა, რომ თქვენ გამხილოთ როგორც ნაციონალების მხარდამჭერი.

კომუნისტების დროს იერარქიული საფეხურის პირდაპირპროპორციული იყო დანაშაულისათვის სასჯელის ხარისხი, დღეს კი უკუპროპორციულია, ე.ი. რაც მაღალი თანამდებობა უკავია დამნაშავეს, მით უფრო უმნიშვნელოა სასჯელის ხარისხი, ესეც ყაჩაღური ნორმაა სამართალწარმოებაში, თანაც იმ ფონზე, რომ ძირითადად დანაშაულს ჩადიან მაღალი ჩინოვნიკები. ჩემი შემთხვევაც ამის დასტურია.

**ქართლოს ზაქარეიშვილი**



# თურქული გამოცდილება

## ეს ჩვენთვის უაღრესად ყურადსაღებია!

**ქართველი ბიზნესმენის ორჰან აქსუს (გოგიტიძის) ინიციატივითა და ხელშეწყობით თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა დელეგაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის გიორგი ხანიშვილის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი მიშელაძის, კოოპერატივების განვითარების არასამთავრობო ასოციაციის თავმჯდომარის გიორგი ზაქაიძის, შპს „აქსვორქის“ დამფუძნებლის ორჰან აქსუს, პროფესორ თეიმურაზ ფაჩულიას შემადგენლობით. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპის ბანკის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში, რომელიც იზმირში გაიმართა და მასში მონაწილეობდნენ თურქეთის წამყვანი კოოპერატივები.**

დელეგაციის წევრებს საქმიანი წინადადებებისა და ინფორმაციის გაცვლა ჰქონდათ ევროპის ბანკის აგროკულტურული მიმართულების ხელმძღვანელებთან თურქეთსა და კავკასიაში ქალბატონ ნადია პეტკოვასთან, სპეციალური პროგრამების ხელმძღვანელთან თურქეთში ბატონ თუნჯ დენის შენსოისთან, FAO-ს მდივანთან თურქეთში ქალბატონ აიშეგულ აქინთან. დელეგაციაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იზმირის მხარეში მოქმედი კოოპერატივების „კოი-კუუპის“, „ისეთ კარდეშლერის“, „ბადემლის“ საქმიანობამ, რომელთა მიხედვითაც თვალსაჩინო გახდა ის მიღწევები, რომლებსაც კოოპერატივების განვითარების მიმართულებით თურქეთმა ბოლო ოცი წლის მანძილზე მიაღწია.

ჩვენთვის უაღრესად საჭირო და ყურადსაღებია თურქეთის გამოცდილება მესაქონლეობის, მერძევეობის, მემარცვლეობის, მებოსტნეობის, მეხილეობის, მეტყევეობის, მეფუტკრეობის და ა.შ. მიმართულებით. ამ სფეროებში თურქულმა კოოპერატივებმა დიდი ნაბიჯები გადადგეს წინ და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მოსახლეობის დასაქმებისა და ქვეყნის აგროკულტურული განვითარების საქმეში. მათი დახმარებით დროის მოკლე მონაკვეთში თურქეთი იქცა წამყვან სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად, რომლის პროდუქციას იცნობენ მსოფლიოს 140-ზე მეტ ქვეყანაში. გასაზიარებელია თურქული კოოპერატივების გამოცდილება შესყიდვების ქსელების, მენეჯმენტის, მარკეტინგის ორგანიზების, ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით.

მაისში დაგეგმილია თურქული მხარის ვიზიტი საქართველოში, რასაც მოჰყვება კონკრეტული ხელშეკრულებების დადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციას და ჩვენი ხალხების დაახლოებისა და მეგობრობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს.

**თეიმურაზ ფაჩულია**

# დასტურდება, რომ ოთარ ფარცხალაძეს ამ ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღია



**დასტურდება ჩვენი მტკიცებულებებით, რომ ოთარ ფარცხალაძეს ამ ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღია,** – ამის შესახებ ყოფილი მთავარი პროკურორის ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა განაცხადა. ადვოკატი არც იმას გამორიცხავს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა ლაშა თორდიამ დაზიანებები თავად მიიყენა.

**„გამორიცხული არაფერია“,** – აღნიშნა მან. მისივე თქმით, თავად გამოკითხეს კაფე „ელ ცენტროს“ დაცვის თანამშრომლები.

**„დაცვამ აღნიშნა, რომ დაახლოებით 5 მეტრის დაშორებით იყვნენ ამ ინციდენტიდან. დასტურდება ჩვენი მტკიცებულებებით, რომ ოთარ ფარცხალაძეს ამ ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღია და თორდიას მხრიდან წამოსული აგრესია განეიტრალდა ფარცხალაძის პირადი დაცვის მიერ. ეს იყო წამიერი ჩოჩქოლი“,** – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა.

# ოთარ ფარცხალაძე საქართველოს დატოვებას გეგმავს?



„ახალი საქართველოს“ ლიდერის გიორგი ვაშაძის თქმით, ოთარ ფარცხალაძე საქართველოს დატოვებას გეგმავს. მისი თქმით, ფარცხალაძე სამართალდამცავებთანაა კოორდინაციაში.

**„სულ რამდენიმე დღე დასჭირდება ალბათ, სანამ დაალაგებს სამართალდამცავ ორგანოებში გარკვეულ სტრატეგიას ამ საქმესთან დაკავშირებით. სწორედ იმ ფარულ კადრებში, რომელშიც ის არის საკუთარ სახლში საავიაციო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, დეტალურად იყო შემუშავებული ქვეყნიდან დატოვების გეგმა,“** – განაცხადა ვაშაძემ.

„ახალი საქართველო“ პარლამენტსა და პროკურატურას 2 მოთხოვნით მიმართავს: დაუყოვნებლივ შეიქმნას საგამოძიებო კომისია და პროკურატურა შევიდეს სასამართლოში შუამდგომლობით, რომ ოთარ ფარცხალაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით საქართველოს ტერიტორიის დატოვება გარკვეული ვადით შეეზღუდოს.

# ფარცხალაძის დიპლომის სკანდალი

ოთარ ფარცხალაძის ახალი სკანდალის პარალელურად, კვლავ აქტუალური ხდება 2013 წლის დეკემბერში, ჯერ კიდევ მისი პროკურორობის დროს, მისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომთან დაკავშირებით აგორებული სკანდალი. მაშინ ზურა ჯაფარიძე აცხადებდა, რომ ფარცხალაძეს დიპლომი გაყალბებული ჰქონდა, რასაც ბევრი ფაქტორი მოწმობდა. მათ შორის ის, რომ დიპლომზე ნუმერაცია ერთმანეთს არ ემთხვეოდა და ფაკულტეტზე, რომელიც ჯაფარიძის განცხადებით, 1992 წელს შეიქმნა, ფარცხალაძე 1991 წელს ვერ ჩააბარებდა:



**„დიპლომი, რომელიც ფარცხალაძემ გამოაქვეყნა, არის ყალბი. ეს არის ნაყიდი დიპლომი. ეს ადამიანი ვერც ერთ შემთხვევაში 19 წლის ასაკში ვერ მიიღებდა იურისტის კვალიფიკაციას, ეს არის გამორიცხული. ამ ადამიანს არ დაუმთავრებია 15 წლის ასაკში საშუალო სკოლა. ჩვენ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ მისი კლასელები და ყველა ადასტურებს, რომ მან სკოლა დაამთავრა 1992 წელში. შესაბამისად 1991 წელს ვერ ჩააბარებდა ის უნივერსიტეტში. 1991 წელს, რომც ჩაებარებინა ამ უნივერსიტეტში, ამ უნივერსიტეტს არ ჰქონდა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. ასეთი ტიპის ფაკულტეტი შეიქმნა მთავრობის ბრძანებულებით 1992 წლის ზაფხულში და ამის დადასტურება არსებობს საჯარო რეესტრის არქივში. ეს დიპლომი არის ყალბი და ჩვენ გვაქვს მსგავსი არაერთი ნანახი, სადაც ნათლად ჩანს რომ ციფრები, ნუმერაცია არის გაყალბებული. ციფრები, რომლებიც ზემოთ და ქვემოთაა მითითებული, განსხვავდება ერთმანეთისგან მაშინ, როდესაც ყველა სხვა დიპლომში ერთი და იგივე ნუმერაციაა ზემოთ და ქვემოთ. ბეჭედს, რომელიც არტყია, არანაირი ნომერი არა აქვს. ეს ფაკულტეტი იძლეოდა იურისტის კვალიფიკაციას და არა სამართალმცოდნის კვალიფიკაციას, როგორც აქ არის მითითებული“,** – აცხადებდა ზურაბ ჯაფარიძე 2013 წელს.

თავად ოთარ ფარცხალაძემ კი მაშინ დიპლომის ასლი გამოაქვეყნა, რითიც, მისი განმარტებით, მას სურდა ერთხელ და სამუდამოდ ამ თემაზე საუბარი დასრულებულიყო.

**მკითხველის თხოვნით**

# როგორ მუშაობს შრომის ინსპექტირების ორგანო სხვადასხვა ქვეყანაში

**EMC-იმ შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება შრომის ინსპექტირების სისტემის მანდატისა და საქმიანობის სამართლებრივი, ინსტიტუციური და ადმინისტრაციული საფუძვლების თვალსაზრისით. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლის მიზანს არ წარმოადგენდა ამ მხრივ არსებული საუკეთესო პრაქტიკის კვლევა, არამედ, ამ ნაწილში კვლევის მიზანს წარმოადგენდა, აღეწერა და ეჩვენებინა შრომის ინსპექტირების მექანიზმის არსებობისა და მისი კონკრეტული მახასიათებლებით ფუნქციონირების გამოცდილება, განსხვავებული ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტის მქონე სახელმწიფოებში.**

ამ მიზნით საკვლევ ობიექტებად განისაზღვრა, როგორც ე.წ. განვითარებადი, ისე განვითარებული ეკონომიკის ქვეყნები და იქ ჩამოყალიბებული შრომის ინსპექტირების მექანიზმები. განვითარებადი ეკონომიკის მაგალითად კვლევამ შეარჩია პოსტსაბჭოთა ახალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა ყაზახეთი. მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებიდან (მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე 12,476 დოლარის გაანგარიშებით და ზევით) ერთ-ერთია დიდი ბრიტანეთი, როგორც ძლიერი ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა. განვითარებულ ეკონომიკებს შორის შეირჩა ასევე ყოფილი სოციალისტური ბლოკის წევრი ქვეყანა ცენტრალური ევროპიდან – პოლონეთი. დამატებით საკვლევ ობიექტად კი – განვითარებული, თუმცა ევროკავშირში ეკონომიკური მაჩვენებლებით ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ლიბერალური დემოკრატია, საბერძნეთის სახით.



## შრომის ინსპექტირების მექანიზმის შესამოწმებელი დარგები და სფეროები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტი

ILO-ს მიხედვით შრომის ინსპექციის უმთავრეს მანდატს წარმოადგენს შრომის პირობებისა და დასაქმებულთა დაცვის მარეგულირებელი ნორმების აღსრულების ზედამხედველობა. შრომით პირობებშიILO გულისხმობს სამუშაო საათებს, ანაზღაურებას, უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას, სოციალურ კეთილდღეობას, ბავშვების/ახალგაზრდობის დასაქმებას და შრომის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტით შრომის ინსპექციის მანდატში შედის ორგანოს უფლებამოსილება, შეამოწმოს დასაქმების ადგილებზე დასაქმებულთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ ქვეყნებში მოქმედი შრომის ინსპექტირების ორგანოების მანდატს უპირობოდ წარმოადგენს დასაქმების ადგილებზე მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა, თუმცა მათი მანდატი ამ საკითხებით არ ამოიწურება და შრომითი უფლებების დაცვის ფართო სპექტრზე ვრცელდება, კერძოდ:

**საბერძნეთში** მოქმედი შრომის ინსპექციის მოდელი მიზნად ისახავს დასაქმებულთა შრომითი უფლებების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას. გარდა ამისა, ინსპექციას ექვემდებარება დასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფის, დასაქმების კანონიერებისა და შრომის კანონმდებლობის აღსრულების კონტროლი.

# ევროპას სააკაშვილი აღიზიანებდა

## საქართველო უკრაინის გემზე გამობმული ნავია...



**ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში, საფრანგეთის არჩევნების შედეგების და ევროპაში ლიბერალიზმის მომავლის განხილვისას, აღმოსავლეთ პარტნიორობის და ევროკავშირის გაფართოების საკითხზეც ისაუბრეს. აშშ-ის ყოფილმა ტოპ-დიპლომატებმა და მიმომხილველებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად გაერთიანების შიგნით არსებული უთანხმოებებისა და სკეპტიციზმისა, ქვეყნებმა, როგორიცაა საქართველო, იმედი არ უნდა დაკარგონ.**

ბრუკინგსის ინსტიტუტის მკვლევარის კონსტანცა სტელცენმიულერის თქმით, საქართველო უნდა ეცადოს საკუთარი საკითხის უკრაინის საკითხთან ერთად დაყენებას.

**„საქართველო ახლა უკრაინის გემზე გამობმული ნავია. ევროპელებისთვის საქართველოზე ყურადღების არგამახვილება უფრო ადვილი იყო. მათ აღიზიანებდათ, არ მოსწონდათ სააკაშვილი და არც მას უცდია თავის მოწონება, მათ რიგებში იყო ჩვენი (გერმანიის) კანცლერი, რამაც უფრო ადვილი გახადა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ყურადღების არგამახვილება. ამან საქართველოში მიმდინარე ამბები ევროპისთვის არარელევანტური გახადა. დღეს, ის რაც უკრაინაში ხდება, არამარტო რელევანტურია, ეს ევროპული პროექტისთვის სასიცოცხლოა. რუსეთის მიერ გავლენის სფეროს ავტორიტარული და საშინელი გზებით ხელახლა დაპატრონების ზღვარი უკრაინაზე გადის. უკრაინა ევროპის ერთიანობის და თავისუფლებისთვის ცენტრალური ქვეყანაა. ასევე მნიშვნელოვანია დემოკრატიზაციისთვის ის ქვეყნები, რომლებიც ბელარუსიდან კავკასიამდე ექცევა“,** — აცხადებს კონსტანცა სტელცენმიულერი. მისი თქმით, გერმანიის გაერთიანების მაგალითი არის ის, რაც საქართველომ და უკრაინამ უნდა გამოიყენონ, ევროპისთვის მათი წევრობის მნიშვნელობის ხაზგასასმელად. მისივე თქმით, დღეს საქართველოს მიერ უკრაინელებთან ერთად მუშაობა უფრო შესაძლებელს გახდის ევროპის პროექტთან დაახლოებას თბილისისთვის.

**„უკრაინა მთავარი ფიგურაა საჭადრაკო დაფაზე. უკრაინელებს ეს ესმით და ბევრს მუშაობენ, მიუხედავად ოლიგარქების და პოლიტიკური ელიტის ნაწილის მცდელობისა, რომ ამ პროცესს ხელი შეუშალონ. მე ვფიქრობ, იმისათვის, რომ ევროპამ გააგრძელოს მისი აღმოსავლეთის სერიოზულად განხილვა, საჭიროა (საქართველოს და უკრაინის მიერ) ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ 1989 წლის საოცარი მოვლენა (გერმანიის გაერთანება) მოხდა სამოქალაქო საზოგადოების მცდელობის გამოისობით და თქვენ სწორედ ამასვე ცდილობთ. თქვენ უნდა თქვათ, რომ გჯერათ ევროპული მოდელის და პროექტის. ამის უარყოფა ევროპელებისთვის შეუძლებელია, მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ვმერყეობთ ჩვენივე რწმენაში (ევროპული პროექტისადმი). მე გირჩევდით ქართველებს ისტორიის ეს (გერმანიის) მაგალითი აიღოთ, უკრაინელებთან ერთად იმუშაოთ და დაეხმაროთ კიდეც მათ“,** — განაცხადა მან.

ამერიკელი დიპლომატის დენიელ ფრიდის განცხადებით, საქართველომ უნდა გააგრძელოს რეფორმების გატარება და სჯეროდეს იმის, რომ მომავალში ევროპა და ამერიკა უფრო გახსნილები იქნებიან საკუთარ ინსტიტუტებში ახალი წევრების მიღების კუთხით.

**„თავისუფლების ისტორიული ტალღა 1989 წელს დაიწყო და 20 წელი გაგრძელდა, ახლა კი შეჩერებულია და უკუერეაქციას ვხედავთ. ჩვენ მათ, ვისაც თავისუფალი სამყაროს პრინციპების გვჯერა, უნდა ვეცადოთ ვებრძოლოთ ამ უკუერეაქციას, არ დავკარგოთ დრო და ვიყოთ გახსნილები მომავალისთვის, იმ დროისთვის, როდესაც ისტორია კიდევ ერთხელ მოტრიალდება და ინსტიტუტები ახალ წევრებს მიიღებენ. ეს დრო ჯერ არ დამდგარა, თუმცა მე მჯერა, რომ მოვა... თქვენ უნდა გააგრძელოთ რეფორმები, არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაგან გავწევრიანდეთ, არამედ საკუთარი თავისთვის“,** — განაცხადა „ამერიკის ხმასთან“ საუბარში დიპლომატმა დენ ფრიდმა, რომელსაც სახელმწიფო დეპარტამენტში სხვადასხვა დროს მაღალი თანამდებობა ეკავა. მისი თქმით, მაშინ, როდესაც საქართველო დასავლური ინსტიტუტების წევრობის სერიოზული კანდიდატი გახდა, დასავლეთი არ იყო მზად ახალი ქვეყნები მიეღო საკუთარ რიგებში, თუმცა მისი თქმით, საქართველომ იმედი არ უნდა დაკარგოს.

**„მე ვისურვებდი საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ და რეფორმები 10 წლით ადრე მომხდარიყო. თუმცა მაშინ როდესაც საქართველო დასავლური ინსტიტუტების წევრობის სერიოზული კანდიდატი გახდა, დასავლეთს საკუთარი თავის ნაკლებად სწამდა და რუსეთის ნაკლებად კეთილმოსურნე იყო... ყოველდღე, როდესაც თქვენი ქვეყანა სუვერენიტეტს და არჩევანის თავისუფლებას ინარჩუნებს, კიდევ ერთი დღეა იმისკენ, რომ ისტორია შეიცვლება, ამერიკა და ევროპა დაიბრუნებს თვითრწმენას. ხაზს ნუ გადაუსვამთ მომავალს“,** — ამბობს დინ ფრიდი.

მიუხედავად დასავლეთში მიმდინარე მოვლენების პესიმისტურად შეფასებისა, საფრანგეთში პოპულისტების დამარცხება და პროევროპული კანდიდატის ემანუელ მაკრონის გამარჯვება, დღეს მიმომხილველებს და მკვლევარებს აძლევს იმედს, რომ ევროკავშირი და ევროპა ახალი სუნთქვით გააგრძელებს არსებობას, გადალახავს არსებულ გამოწვევებს, შეინარჩუნებს ერთიანობას და ბრიტანეთის მიერ გაერთიანების დატოვების მიუხედავად, მოახერხებს თანამშრომლობის გაღრმავებას.

**„ამერიკის ხმა“**

## მკითხველის თხოვნით

**ყაზახეთში** შრომის ინსპექციის ფუნქციას წარმოადგენს კანონმდებლობით შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში არსებული ნებისმიერი პირობის შესრულების კონტროლი.

**პოლონეთში** შრომის ინსპექციის საზედამხედველო ფუნქციებში შედის დასაქმების ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებზე არსებული რეგულაციები და შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე საკითხები, სამუშაო დრო, შვებულებები, მშობლის სტატუსთან დაკავშირებული დასაქმებულთა შრომის პირობები, აგრეთვე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ახალგაზრდების დასაქმების საკითხები.

**დიდ ბრიტანეთში** შრომის ინსპექტირების სისტემას ქმნის სხვადასხვა უწყების ერთობლიობა, სადაც ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების აღმასრულებელი ორგანო მიმართულია უშუალოდ დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე. თუმცა, ასევე, არსებობს სხვა სახელმწიფო ორგანოები, რომელთა საქმიანობის სფეროს განეკუთვნება დასაქმების სააგენტოების საქმიანობის შემოწმება და ამ მხრივ ინდუსტრიულ სექტორში მოქმედი სააგენტოებისა თუ დამსაქმებლების საქმიანობის დამორჩილება შრომით უფლებებთან. ასევე, ექსპლუატაციის, სამუშაო დროის რეგულირებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ხელფასის ოდენობის დაცვის კონტროლი.

### სამუშაო ადგილზე დაშვება ნებართვის გარეშე

შრომის ინსპექციის სფეროში არსებულიILO-ს ძირითადი კონვენციები ითვალისწინებს შრომის ინსპექტორთა უფლებამოსილებას, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინებისა და დამსაქმებელი პირის/საწარმოს თანხმობის გარეშე შევიდეს და შეამოწმოს კონკრეტული დასაქმების ადგილი დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში, მოქმედებისთვის საჭირო თავისუფლებითა და იმ პირობით, რომ არ მოხდება ჩარევა შრომის პროცესში იმაზე მეტად, ვიდრე ეს აუცილებელია ეფექტიანი ინსპექტირებისათვის.

### სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება

შრომის ინსპექციებს, როგორც წესი, თავისუფალი წვდომა აქვთ საწარმოებზე. ყველა საკვლევი ქვეყნის შემთხვევაში შრომის ინსპექტორები უფლებამოსილი არიან საზედამხედველო ფუნქცია განახორციელონ როგორც გეგმური, ისე არაგეგმური შემოწმების გზით.

**ყაზახეთში** შრომის ინსპექტორთა ვიზიტები არის როგორც გეგმური, ისე არაგეგმური ხასიათის, რაც ხორციელდება ფიზიკური და იურიდიული პირების, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოთა საჩივრების საფუძველზე. თუმცა ყაზახეთის კანონმდებლობა არ უშვებს ანონიმური შეტყობინების საფუძველზე შრომის ინსპექციის ვიზიტის შესაძლებლობას, ასევე შრომის ინსპექციის უფლებას, პირადი ინიციატივის საფუძველზე შეამოწმოს კონკრეტული საწარმო.

**დიდი ბრიტანეთის** შემთხვევაში შრომის ინსპექცია მუშაობს ყოველწლიური გეგმის მიხედვით, რომელიც დადგენილია შესაბამისი კონსულტაციების შედეგად. შრომის ინსპექცია თავის ფუნქციებს უპირველესად ახორციელებს პროაქტიული ინსპექტირების, ისევე როგორც შემთხვევებსა და საჩივრებზე რეაგირების საშუალებით.

**საბერძნეთსა და პოლონეთში** ინსპექტორებს დასაქმების ადგილებზე წვდომა აქვთ დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და არ არიან შეზღუდული ვადებში.

### შრომის საზედამხედველო ორგანოს რეაგირების მექანიზმები

ILO-ს სტანდარტი ითვალისწინებს კანონმდებლობის მოთხოვნათა დამრღვევის, აგრეთვე, ინსპექტორებისათვის წინააღმდეგობის გამწევი პირების მიმართ ადეკვატურ სანქციას, რაც იმავდროულად იქნება ეფექტიანად აღსრულებადი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული შრომის ინსპექციის მოდელების კვლევის საფუძველზე, ILO გამოყოფს რამდენიმე სახის სანქციას, რაც კლასიკურად სანქცირების აღიარებულ ფორმებს წარმოადგენს და ემსახურება როგორც პრევენციულ, ასევე რეაგირებით მიზნებს. მათ შორის იგულისხმება გაფრთხილება, შენიშვნა სხვადასხვა სახის დარღვევათა აღმოფხვრის თაობაზე, ფულადი ჯარიმა, დაწესებულების საქმიანობის შეჩერება, ლიცენზიის გაუქმება, დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტა, სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი სანქციები.

### სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება

სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ შრომის ინსპექციის ინსტიტუციური მოდელის განსხვავებულობის მიუხედავად, ყველა მათგანს აქვს როგორც პრევენციული, ისე რეაგირებითი მიზნები. ზედამხედველობისას, თითოეული საკვლევი ქვეყნის კანონმდებლობა ინსპექციას ანიჭებს დარღვევების შემთხვევაში სანქცირების უფლებამოსილებას, რომელსაც პრევენციული და რეაგირებითი მიზანი აქვს.

**დიდი ბრიტანეთის** შრომის ინსპექცია უფლებამოსილია, დარღვევების გამოსწორების შესახებ შეატყობინოს, ამავდროულად, დარღვევის გამოსასწორებლად განსაზღვროს შესაბამისი ვადა, რომლის დაუცველობა, თავის მხრივ, შედარებით მკაცრი სანქცირების საფუძველს წარმოადგენს. ინსპექტორებს ასევე შეუძლიათ, გამოსცენ ამკრძალავი ხასიათის აქტები იმგვარ ქმედებათა შეწყვეტის მიზნით, რომელსაც კონკრეტული საფრთხის შემცველად მიიჩნევენ.

**საბერძნეთში** კანონმდებლობის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ინსპექტორები დამრღვევს განუსაზღვრავენ 5-დღიან ვადას, რათა წარუდგინოს დოკუმენტები, სადაც დაასაბუთებს თავის პოზიციას არსებულ დარღვევასთან დაკავშირებით. თუკი დასაბუთებას ინსპექტორები არადამაჯერებლად მიიჩნევენ, უფლება აქვთ, დამრღვევის მიმართ გამოიყენონ კონკრეტული სანქცია, მათ შორის, დააკისრონ ჯარიმა, 500-დან 50 000 ევრომდე ოდენობით, რაც დამოკიდებულია დარღვევის სერიოზულობასა და საწარმოს სიდიდეზე. თავად კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ჯარიმის ზუსტ რაოდენობას, რის გამოც სწორედ ინსპექტორები წყვეტენ აღნიშნულ საკითხს, მათ ზემდგომთან შეთანხმების საფუძველზე.

**ყაზახეთში** შრომის ინსპექცია უფლებამოსილია, დააკისროს ადმინისტრაციული სანქცია დამსაქმებელს, აგრეთვე, შეაჩეროს დასაქმების ადგილას სამუშაო პროცესი, აკრძალოს პერსონალის დაცვისთვის არსებული გამოუსადეგარი საშუალებები, შეაჩეროს დასაქმებულები, რომლებიც არ ემორჩილებიან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებს და ამასთან მიმართოს სამართალდამცავ თუ სასამართლო ორგანოებს დაუმორჩილებლობის შემთხვევაში.

**პოლონეთში** შრომის ინსპექტორები უფლებამოსილი არიან, დამსაქმებელს განუსაზღვრონ კონკრეტული ვადა აღმოჩენილი დარღვევების აღმოფხვრის შესახებ, აგრეთვე, გამოსცენ ბრძანებები სამუშაოების შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე. ასევე, იმ დანადგარების მუშაობის შეჩერების შესახებ, რომლებიც დასაქმებულთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია. ამასთანავე, მათ აქვთ დასაქმების ადგილებზე შემთხვევების გამოძიების, ისევე როგორც დარღვევებზე ჯარიმების გამოწერის უფლებამოსილება.

**„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“**

# რომან კიზირიას უთბილესი და უნათლესი წლები

**სამეგრელოს ერთ-ერთ ძირძველ კუთხეს — აბაშას, არა ერთი სახელოვანი კაცი აღუზრდია. ასე გრძელდებოდა საუკუნეთა მანძილზე, ასე გრძელდება დღესაც. სწორედ ასეთი კაცური კაცის სახელს ატარებს ბატონი რომან კიზირია, მაღალკვალიფიციური ეკონომისტი, უბადლო ორგანიზატორული ნიჭით აღსავსე, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე პიროვნება და რაც მთავარია, დიდებული ქართული ოჯახის მეთაური, რომელსაც სულ ახლახან 70 წელი შეუსრულდა.**

კაცმა რომ თქვას, 70 წელი არ არის ცოტა, მაგრამ ბატონ რომანისთანა კაცისთვის ძალიან ცოტაა, რამეთუ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა გაუთავებელი შრომის, ახლის შენების, დაუოკებელი ოპტიმიზმის და სიკეთის კეთების სურვილით არის აღსავსე. იმდენად დამუხტული, იმდენად დაძაბული და მრავალფეროვანია ეს 70 წელი, რომ ძნელია, ბევრმა შეძლოს ამ ტვირთის ტარება.

საკმარისია, ახსენო რომან კიზირიას სახელი, იმავდროულად ყველა იბადრება. ყველა კუთხეს თავისი კანონი და კაიკაცობის სასწორი აქვს. „წესიერი და კეთილშობილი კაცია, ღმერთმა გაუმარჯოსო“ — ამ სიტყვებით მოიხსენებენ ბატონ რომანს აბაშელები. „იასონ კიზირიასა და გოგოლა მიმინოშვილის შვილი სხვანაირი არც შეიძლება იყოსო“, — დაამატებენ მხცოვანები. დასტურ ასეა, მშრომელ, პატიოსან, ტრადიციულ ოჯახში აღიზარდა ბატონი რომანი.

მისი მშობლები მთელ რაიონში გამორჩეული იყვნენ სინდისითა და ზნეობით, შრომისმოყვარეობით, სიალალით, მოყვასისადმი გვერდში დგომით. ამ სულისკვეთებით აღზარდეს სამი შვილი. სამივემ უმაღლესი განათლება მიიღო. ბატონი რომანის ძმა — ემზარ კიზირია სამების ტაძრის მშენებლობის მთავარი ინჟინერი იყო, დახვეწილი ინტელიგენტი, თავისი საქმის ღრმა მცოდნე და პროფესიონალი, რომელმაც მთელი სული და გული ჩააქსოვა ამ დიდ მამულიშვილურ საქმეს. რაოდენ გულდასაწყვეტია მისი ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასვლა.

რომანის და ივეტა, ეკონომისტია.

განათლება და ინტელექტი თავს არასდროს მალავს. 1970 წელს დაამთავრა ბატონმა რომანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფა-



კულტეტი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს საქ. კპ აბაშის რაიკომში ინსტრუქტორად, ამავე წელს არჩეულ იქნა საქართველოს ალკკ აბაშის რაიკომის პირველ მდივნად.

ბატონი რომანი საქვეყნოდ ცნობილი აბაშური ექსპერიმენტების უშუალო მონაწილე იყო. ამ პერიოდში ხელმძღვანელ მუშაკებად ყველაზე გამოცდილ და საქმიან კადრებს არჩევდნენ. ასე დაწინაურდა იგი ჯერ საქართველოს კპ აბაშის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, შემდეგ მეორე და პირველ მდივნად.

მას ყველაფერი წინასწარ გათვლილი და აწონილ-დაწონილი ჰქონდა. რაიონის ბიუჯეტის შედგენა, შემოსავლების სოციალური სამართლიანობით განაწილება, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი წყაროებიდან მეურნეობრიობის წარმართვა, სასიკეთო სტრატეგიული კურსის შემუშავება და განხორციელება. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით აყალიბებდა სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამას და არნახულ შედეგებსაც აღწევდა. რამდენად სასიამოვნოა შენს მიერ აშენებულით ტკბობა: სკოლები, კულტურის კერები, საბავშვო ბაღები, ქარხნები, ადმინისტრაციული შენობები და სხვ. რომელ ერთს ჩამოთვლი, რა გამოლევს იმ წლებში გაკეთებულ საქმეებს და ყველაფერს ამას რომან კიზირია აკეთებდა უდიდესი პასუხიმგებლობით, წინდახედულობით და ტაქტით.

პარტიული საქმიანობის შემდეგ ბატონი რომანი ბიზნესში ჩაერთო, ოჯახთან ერთად ხუთი წელი დაჰყო რუსეთში, ბოლო ექვსი წელია, აბაშაშია და მშობლიურ სოფელში წარმატებული ფერმერია. მეცხოველეობისა და მემცენარეობის განვითარებას ჩაუდგა სათავეში, ხალხი დაასაქმა, სოფელი მადლიერია. მის ცოდნასა და გამოცდილებას ბევრი სხვა იზიარებს და წარმატებასაც აღწევს.

ყველაზე უმთავრესი რომან კიზირიასთვის არის მტკიცე ოჯახი. მას მისაბაძი ოჯახი ჰყავს, მეუღლე ლია ადამია, განათლებული, გაწონასწორებული, მომხიბლველი ქალბატონი თავისი უშუალობით, უბრალოებითა და სათნოებით ხიბლავს ყველას.

ასევე შესანიშნავი შვილები აღზარდეს ბატონმა რომანმა და ქალბატონმა ლიამ — მარიკა და იასონი. იასონი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მუშაობს, მარიკა სამი შვილის დედაა და მთავარ სამსახურად სწორედ ამას თვლის. მშობლების მსგავსად ისინიც უბრალოებით და კეთილსინდისიერებით გამოირჩევიან.

ბატონი რომანი არის ის კაცი, რომელსაც შეუძლია, ყველაზე უკეთ იგრძნოს მოყვასის გაჭირვება, იფიქროს და გამონახოს საშუალება, რათა ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს ცხოვრებისეული ტკივილი. იგი დაჯილდოებულია ყველა იმ სიკეთით, რაც სიცოცხლეს, სილამაზესა და სიხარულს ანიჭებს კაცს. უყვარს საქმე, რომელსაც აკეთებს, აქვს უნარი — ეს „სენი“ სხვასაც შეჰყაროს, გააჩნია ცოდვა-მადლის, ანუ სამართლიანობის გარჩევისა და მოთმინების დიდი უნარი.

კაცი მზესავით ნათელი და მუდამ ფუტკარივით მოფუსფუსე... განსწავლული, მჭერმეტყველი, ჩინებული მოსაუბრე, მწიგნობარი, სუფთა, წმინდა, ჭეშმარიტი ქართველი კაცის მაგალითი. ამ თვისებებით აირჩიეს მადლიერმა აბაშელებმა ბატონი რომანი აბაშის საპატიო მოქალაქედ.

70 წელია, ატარებს კაიკაცობის ტვირთს, თუმცა მთლად ტვირთი არ ეთქმის, რადგან მძიმე კია, მაგრამ ერთდროულად მსუბუქია და სასიამოვნოც. ბატონ რომანს კაიკაცობა ემსუბუქება, იგი სხვის დასახმარებლად ყოველთვის მზად არის და არ ეზარება. ამიტომაც აბაშელები სიყვარულით ადევნებენ თვალს აბაშის ქუჩებში მიმავალ წელგამართულ ღირსეულ ადამიანს, სიყვარულით, სითბოთი, მოკრძალებით უკრავენ თავს, რადგან იციან, რომ მისი სახით ესალმებიან და ეფერებიან არა მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებას, არამედ აბაშის ალმავლობის ისტორიას, მის დღევანდელობასა და მომავალს.

ბატონო რომან, უმადურობა ყველაზე ცუდი ზნეა ადამიანისთვის. ამიტომ გვინდა, იცოდეთ, თქვენი მეგობრები, აბაშელები, იმ კარგი საქმეებისთვის, რაც გიკეთებიათ რაიონის, თქვენი ხალხისთვის, იმ კარგი მამულიშვილობისთვის მუდამ მადლიერი იქნებიან. თქვენი ყველას ეიმედება, ყველას ჭირისუფალი ხართ და ამიტომ ძალიან დიდხანს, დიდხანს უნდა იცოცხლოთ ასე მხნედ, ასე ვაჟკაცური შემართებით.

შრომის ხალისი, მეგობრების სიყვარული და მხარდაჭერა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა.

**მეგობრები**

„ერთი სარტყელი, ერთი გზა“

## ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, გაზარდოს თავისი ისტორიული როლი „აბრეშუმის გზის“ შემადგენლობაში

**საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, სრულად გამოიყენოს საკუთარი სატრანზიტო პოტენციალი და გაზარდოს და განავითაროს თავისი ისტორიული როლი „აბრეშუმის გზის“ შემადგენლობაში, — ამის შესახებ საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა პეკინში, საერთაშორისო კონფერენციის „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ფარგლებში გამართულ სესიაზე განაცხადა.**

ფინანსათა სამინისტროს ინფორმაციით, ქუმსიშვილმა დეტალურად ისაუბრა საქართველოს მთავრობის პოლიტიკაზე, რომელიც ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზეა ორიენტირებული.

**„საქართველო ისტორიულად იყო და დღესაც რჩება „აბრეშუმის გზის“ განუყოფელ ნაწილად. უმოკლესი გზა ჩინეთიდან ევროპამდე სწორედ საქართველოზე გადის. „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ პროექტის განვითარება მსოფლიოში ფინანსური თანამშრომლობისთვის, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობისთვის, პოლიტიკის კოორდინირებისა და რეგულაციების ჰარმონიზებისთვის უდიდეს პლატფორმას შექმნის“**, — განაცხადა ქუმსიშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

თავის მოხსენებაში საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა ქვეყანაში მიმდინარე ფისკალურ და სტრუქტურულ რეფორმებზე ისაუბრა. მისი თქმით, მიმდინარე ხარჯების შემცირებით გამოთავისუფლებული ფინანსები მიემართება სატრანზიტო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში, რომელიც „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ — აღმოსავლეთ-დასავლეთის საგზაო მაგისტრალის შემადგენელი ნაწილია.

ცნობისთვის: ჩინეთი ახალი „აბრეშუმის გზის“ მშენებლობაში 124 მლრდ დოლარის ოდენობის ინვესტიციას განახორციელებს. ამის შესახებ ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა პეკინში მიმდინარე ორდღიან სამიტზე — „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ განაცხადა.

სამიტს 29 ქვეყნის ლიდერი, მათ შორის რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ესწრებოდა.

შეგახსენებთ, რომ „აბრეშუმის გზა“ უძველესი სავაჭრო გზაა, რომელიც ჩინეთს ევროპასთან ცენტრალური აზიის გავლით აკავშირებდა. ახალი „აბრეშუმის გზის“ მშენებლობის ინიციატივა, რომელმაც ჩინეთი ევროპის ქვეყნებს უნდა დაუკავშიროს, ჩინეთის პრეზიდენტმა 2013 წელს გააჟღერა.




## აბრეშუმის გზის ფონდი და საქართველო

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ შეხვედრა გამართა აბრეშუმის გზის ფონდის ხელმძღვანელ პირებთან. გიორგი გახარიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მნიშვნელობას და ისაუბრა იმ ეკონომიკურ სარგებელზე, რასაც თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი მოუტანს ჩინეთსა და საქართველოს ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში. მინისტრის განცხადებით, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და საინვესტიციო გარემო ქვეყანას საშუალებას აძლევს, გაზარდოს არსებული პოტენციალი, გახდეს რეგიონალური მნიშვნელობის სატრანსპორტო და ლოგისტიკური ჰაბი და აზიასა და ევროპას შორის სავაჭრო ტვირთების უმოკლეს დროში ტრანსპორტირებისას შეასრულოს მნიშვნელოვანი ფუნქცია. მინისტრმა ასევე ისაუბრა საქართველოში მიმდინარე იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც განსაკუთრებულ როლს შეიძენს აბრეშუმის გზის სატრანსპორტო კორიდორის სწრაფ განვითარებაში.**

**მხარეები მიესალმნენ ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებას, რომელიც ხელს შეუწყობს ვაჭრობის განვითარებას და ამ მიმართულებით დამატებითი ბარიერების აღმოფხვრას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია „სარტყელი და გზის“ ინიციატივის განხორციელებისთვის.**

**აბრეშუმის გზის ფონდი პროექტის „სარტყელი და გზა“ ხელშეწყობისთვის ჩინეთის ინიციატივით შეიქმნა და მისი კაპიტალი 40 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა.**



# გადაფხიკე კონსტიტუციის პროექტი და მოიგე... კიდევ სცადეთ!

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა ჩაიშალა. ამის შესახებ ინფორმაციები უმალ გავრცელდა და ყველამ თავისი შეფასება გააკეთა. ამ წერილში მინდა შევეხო თავად კონსტიტუციის პროექტს და, რა თქმა უნდა, პარლამენტის ახალგაზრდა თავმჯდომარის გამონათქვამებს, რომლებიც კონსტიტუციურად მიწის გაყიდვის აკრძალვის მომხრეების და მოწინააღმდეგეების გასაგონად იყო ნათქვამი.

**„ამ ხალხს ინფორმაციის მიღება არ უნდათ. ამ ხალხს უნდა ტყუილის თქმა, ისინი ამბობენ ტყუილს. ბატონმა სანდრომ (ბრეგაძე) თქვა ტყუილი. რაც შეეხება უცოდინრებს, მე გირჩევთ, რომ იაროთ ცოდნის გზით. უცოდინარი თქვენ გიწოდათ ბატონმა სანდრომ, ეს იყო რეალობა. თქვენ არ გინდათ კითხვებზე პასუხების მიღება, თქვენ არ გინდათ თქვენი ცოდნის გაღრმავება. ამ ფორმატს აზრი არ აქვს. აქ კითხვები არ ისმება იმისთვის, რომ მიიღოთ პასუხები. ორი ძირითადი გზავნილი გაჟღერდა, ერთი მიწასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ თქვენ ინფორმაცია არ გაქვთ და არც გინდათ მიიღოთ. აქ არის ტრანსპარანტი „აიკრძალოს მიწების გაყიდვა!“ — ზუსტად საუბარია იმაზე, რომ შედის შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, თქვენ ინფორმაციის მიღება კი არ გინდათ, გინდათ აქ პროვოკაცია მოაწყოთ. იგივე ეხება ფსევდოსოლიდარობას, თქვენი მხრიდან კომუნისტების სოლიდარობა არ გაიშვა. არ არსებობს კომუნისტების მხრიდან სოლიდარობა. ახალგაზრდა კომუნისტების ადგილი არ არის საქართველოში. მე მინდა მოგიწოდოთ, იაროთ ცოდნის გზით. თქვენ უნდა დასვათ კითხვები, მიიღოთ პასუხები. ასე იღებს ადამიანი ცოდნას, თქვენ ეს არ გინდათ, ასე ვერ წახვალთ შორს. კომუნიზმიც არის იმის შედეგი, რომ თქვენ ჯერ არ გაგიღრმავებიათ ცოდნა. ცოდნა და კომუნიზმი ერთმანეთთან არის შეუთავსებელი. მე ამ ფორმატში ვერ ვხედავ შეხვედრის გაგრძელების საჭიროებას, იმიტომ რომ, აქ კითხვები არ ისმება იმისთვის, რომ მიიღონ პასუხები, აქ კითხვები ისმება იმისთვის, რომ მოაწყონ პროვოკაცია“.**

დავიწყებ პირველი ფრაზით: **ამ ხალხს ინფორმაციის მიღება არ უნდათო!**

ვინ მოგახსენათ, რომ ინფორმაციის მიღება არ გვინდა? ძალიანაც გვინდა, მაგრამ ვინ გვაწვდის ამ ინფორმაციას? ე.წ. არასამთავრობოები და ე.წ. პოლიტიკოსები, რომლებიც „რუსთავი-2“-ის ეთერში შედარებით ვრცელი და სხვა ტელეკომპანიების საინფორმაციო გამოშვებებში 5-წამიანი კომენტარებით კმაყოფილდებიან და რომლებსაც შემდეგ ხან ჯულიეტოვნა და ხან ვანო ჯავახიშვილი საკუთარი ინტერპრეტაციით ავრცელებენ.

**ძვირფასო ხელისუფლანო! ბეჭდური მედიის შესახებ საერთოდ რაიმე გსმენიათ?**

ნუთუ არ შეგეძლოთ, რომ ბიუჯეტიდან სხვადასხვა სისულელეების დაფინანსების ნაცვლად, დაგებეჭდათ კონსტიტუციის პროექტი, გაგეკეთებინათ თქვენი ამომწურავი განმარტებები და საზოგადოებისთვის მიგეცათ საშუალება, არა ფაციფუცით, არამედ მშვიდად გასცნობოდა იმ ცვლილებებს, რომლებსაც გვთავაზობთ?

დიახ, მე მინდა ვიცნობდე იმ უმაღლესი კანონის პროექტს, რომლითაც მე და ჩემმა შვილებმა უნდა ვიცხოვროთ. აქ, ამ ქვეყანაში ვაპირებთ სამუდამოდ დარჩენას.

სწორედ იმ არაინფორმირებულობის ბრალია ის, რომ გარეშე ადამიანს, რეგიონებში ამ ე.წ. საერთო-სახალხო განხილვის ნახვის შემდეგ დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ:

1. საქართველოს მოსახლეობის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს, ყოვლად უუფლებო პრეზიდენტს თავად აირჩევს თუ 300 სპარტელი, უკაცრავად, 300 არაგველი, უკაცრავად, 300 ხმოსანი! თურმე ეს აინტერესებს და საერთოდ არ ღელავს, როგორ უნდა მოაშოროს სკამს სხვადასხვა მანქანებით ხელისუფლებაში გამძვრალი ე.წ. კანონმდებლები, თუ ე.წ. „არჩეული“ მაღალჩინოსნები.

2. საქართველოს მოსახლეობა მძაფრად განიცდის, ეყოლება თუ არა მაჟორიტარი, რომელსაც დედას აგინებს (მე თავად ბევრ რაიონში მომისმენია) და არ აინტერესებს, თუ რა ევალება იმ დეპუტატს, რადგანაც არავის უთქვამს, რომ დეპუტატის მოვალეობა არც კანალიზაციის გაყვანაა, არც წყლის და არც სოციალური დახმარების დანიშვნა. დეპუტატმა კანონები უნდა წეროს, მაგრამ ჩვენი მოსახლეობა საერთოდ არ ინტერესდება მისი „არჩეული“ ტიპის მიერ გაკეთებული იმ საქმით, რაც უშუალოდ ევალება.



## დღის ფრაზა

**არა რა, მაგარი „დურაქები“ იყვნენ მურვან ყრუ და შაჰ აბასი. რას იქნევ ამ ხმლებს, რას ახოცვინებ ტალიკ-ტალიკ არაბ, სპარს და ოსმალო ბიჭებს ამ კომუნისტ გიორგი ბრწყინვალეს, სვიმონ მეფეს, გიორგი საააკაძეს, სამას არაგველს...**

**დაელოდე პაწა ხანი, აიღე ინდოეთიდან მოტანილი ხარკიდან რამდენიმე ოქრო, მიდი რომელიმე ქართულ კომერციულ ბანკში და მიწას კი არა, კონსტიტუციას იყიდი თავისი ნაზირ-ვეზირებით.**

**ან ეს მეთერთმეტე არმია რად უნდოდათ? დაელოდე მიშა სააკაშვილს. რაც სტრატეგიული საწარმოა, არ მოგყიდის, თუ რა?**

3. საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც უშუალოდ ეხება უმთავრესი კანონის განხილვა, საბავშვო ბაღების გამგეები, პედაგოგები დ.ა.შ. წარმოადგენენ.

4. „ევროპული საქართველო“ სულაც არ არის ევროპული და არც „ნაციონალური მოძრაობაა“ ერთიანი, რადგანაც მათი მომხრეები ჩრდილოეთ კორეას ჯერჯერობით ვერ „ქაჩავენ“ — სამაგიეროდ, მათი „ლიდერების“ სახეებზე ნათლად ამოიკითხავთ პოლ პოტის დემოკრატიულ მორცხვად შეფაკლულ „ნაკვთებსა“ და „ჰუმანურობას“.

და კიდევ ბევრი რამ, რომლებზედაც ქვემოთ ვისაუბრებ.

**აქ არის ტრანსპარანტი „აიკრძალოს მიწების გაყიდვა“ — ზუსტად საუბარია იმაზე, რომ შედის შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, თქვენ ინფორმაციის მიღება კი არ გინდათ, გინდათ აქ პროვოკაცია მოაწყოთ.**

დიხ ჩემო ბატონო, **მიწა განსაკუთრებული რესურსია.**

უკაცრავად, მაგრამ მიწა რომ განსაკუთრებული რესურსია, ამას წყალში მოტივტივე, უმიწო ვენეციის კომისიის დასკვნა სჭირდება, თუ ისედაც უნდა იცოდეს ნებისმიერი დონის ხელისუფალმა?

რად უნდა ამდენი არშიყი და ბრტყელბრტყელი სიტყვების რახარუხი? ჩაიწეროს, რომ მიწა არ იყიდება და მორჩა!

დააწესეთ რეგულაციები მიწის სარგებლობაზე. რამდენიმე წლის დაუმუშავებელი მიწა ჩამოართვით მფლობელს და სახელმწიფოს გადაეცით. რეალურად დაეხმარეთ იმ გლეხს, რომელსაც შრომა უნდა. ბიუჯეტიდან მიეცით საწვავი, ტექნიკა და სხვ. და არა რაღაც უაზრო აგროპროექტები და აგროკრედიტები. დააზღვიეთ მათი შრომა. გაყარეთ ქალაქებიდან „კანტრალიორებად“ მომუშავე სოფლიდან ჩამოსული ბრგე ახალგაზრდები, რომლებიც ულელში რომ შეაბა, 10 ჰექტარ მიწას ერთ დღეში მოხნავენ.



თქვენ კი რაღაც ჰაეროვან ფრაზებს ისვრით და გგონიათ, რომ ყველაფერი რიგზეა.

თუ ის ხალხი, ვინც კონსტიტუციაში მიწის გაყიდვის აკრძალვის ჩაწერას მოითხოვდა, ბნელი კომუნისტები არიან და ტრიბუნაზე მჯდომი ლაშა ტუღუში ცივილურობის მედროშე, მაშინ მეც კომუნისტი ვყოფილვარ და სრულიად ვიზიარებ შოთა ნიშნიანიძის ლექსს:

**რომ კომუნისტის სახელი გვერქვას,**
**ყველა როდი ვართ ღირსი,**
**დაფერილია ეს სიტყვა ყველგან**
**სისხლით, გმირული სისხლით.**

რაც შეეხება თავად ამ ე.წ. საერთო-სახალხო განხილვის ფორმატს, პირდაპირ ვიტყვი, რომ „განხილვების“ სწორედ მსგავსი ფორმატი ახასიათებდათ კომუნისტებს, როცა ფერმის მუშები ხან „ხელები შორს ვიეტნამისგან“ იძახდნენ და ხანაც ნიკარაგუას „იცავდნენ“ ბოროტი კაპიტალისტებისგან.

ახლა კი იმ „ხალხზე“ ვისაუბრებ, რომლებიც „აქტიურად არიან ჩართული“ საქართველოს უმაღლესი კანონის მიღებაში და ხან ვენეციის კომისიით „აპელირებენ“ და ხანაც „საერთაშორისო ორგანიზაციებით“.

როგორც მიხვდით, ისინი ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციები“ არიან.

ძალიან ბევრჯერ დამიწერია ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღეს კორუფციული და ოლიგარქიული მიმართულება, ყველაზე უფრო მძაფრად სამოქალაქო სექტორში სუფევს.

არსებობენ ე.წ. „გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები“, რომლებსაც დამყარებული აქვთ თავიანთი ოლიგარქიული მმართველობა და საინფორმაციო ველის უმწეო მდგომარეობაში არსებობის გამო, ყველასთვის ცნობილია მათი ორმაგი სტანდარტები, გამომდინარე იმ მარტივი მონიტორინგიდან, რომელიც მათი დაინტერესების სფეროებს შეეხება.

თუ ის საქმე, რომელიც არ არის დაფინანსების ფორმულის შესაბამისი, ამ ე.წ. „ყველაფერშჩიკებს“ არანაირად არ აინტერესებთ (ეს შეიძლება განვიხილოთ მატერიალური პრინციპიდან გამომდინარე, მაგრამ არსებობს მორალური მხარე, რის გამოც არასამთავრობო ორგანიზაცია იქმნება) და ამ შემთხვევაში იმ ე.წ. ჟურნალისტებს მინდა ვთხოვო: ნუ დაეყრდნობით მარტო ჩემი კვლევების შედეგებს, რადგანაც ის, ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ძალიან მწირია. თქვენ, სავარაუდოდ, გაქვთ გადაადგილების, ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებები და გთხოვთ, ჩაატაროთ რეალური კვლევა, თუ რამდენმა მოქალაქემ მიმართა ამ ე.წ. სამოქალაქო საზოგადოებას უფლებების დარღვევის, არჩევნების გაყალბების დ.ა.შ. თემებთან მიმართებაში და რამდენმა მოიპოვა მათი მხარდაჭერა.

თემა უამრავია, უბრალოდ მთავარია, რომ ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი დაერქვას.

ჩვენი ხელისუფლება, მათთან მიმართებაში, რატომღაც არის იმ ხვარაზმელი გლეხის პოზიციაში, რომელსაც მთვრალი მონღოლი მეომარი დაადგა თავს და მისი მოკვლა გადაწყვიტა. უცებ აღმოაჩინა, რომ ხმალი არ ჰქონდა წამოღებული, უბრძანა, დალოდებოდა.და ხმლის მოსატანად წავიდა. ის გლეხი დაელოდა!

არ მესმის, რატომ უნდა იყოს საქართველოს უმაღლესი კანონის — კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიაში ორი ადამიანის მკვლელობის ბრძანების გამცემი კრიმინალის მიერ კაპიტნის წოდებამინიჭებული, ვინმე ეკა გიგაური? რატომ უნდა იყოს ჩემი სამშობლოს უმაღლესი კანონის შემმუშავებელ კომისიაში ვინმე ნაცვლიშვილი, რომლის საქმიანობის უმთავრესი მოტივაცია არის არა მოქალაქეებისთვის, სახელმწიფოს განვითარებისთვის ქვეყნის ევროპული სტანდარტების დაფუძნება, არამედ შერჩევითი პრეცედენტები. ხელისუფლებავ, მოგიწოდებთ, ნუ იქნებით 9 საუკუნის წინანდელი ხვარაზმელი დეჰკანების პოზაში, თორემ იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რომელიც ამ განცხადების ავტორმა ჯერ კიდევ 2012 წელს გამოაქვეყნა: **„იყიდება ფართი კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ესაზღვრება ჩრდილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი.**

**ფანჯრებიდან მოჩანს ზღვა და მთები. არის სარემონტო. გამოდგება საოფისედ.**

**ფასი შეთანხმებით. დაგვიკავშირდით: ქ. თბილისი, ავლაბარი. გუმბათიანი შენობა“.**

**ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ**

# „ჩექმების დიპლომატიის“ (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარება) გამო ფასის გადახდა მოგვიწევს

**ნიკარაგუის გამოცემა „La Prensa“, მათი ქვეყნის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებას ამჯერად უკვე სარედაქციო სტატიით ეხმაურება.**

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის ქართულენოვან ვერსიას მცირეოდენი შემოკლებით:**



ნიკარაგუის ეროვნული კრების (პარლამენტის) სახელისუფლებო უმრავლესობის დეპუტატმა, საერთაშორისო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარემ ხასინტო სუარესმა „La Prensa“-ს კორესპონდენტს განუცხადა, რომ „ნიკარაგუის მთავრობის სუვერენული უფლებაა, რომელსაც დამოუკიდებლად ჩათვლის, ის სახელმწიფო აღიაროს“. „მე არ მესმის, რატომ უნდა შევეკითხოთ სხვებს, ვაღიაროთ თუ არ ვაღიაროთ“, – თქვა დანიელ ორტეგას მხარდამჭერმა ჩინოვნიკმა, რომელიც 1980-იან წლებში სანდინისტების ელჩი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ხასინტო სუარესს მხედველობაში აქვს დანიელ ორტეგას რეჟიმის მიერ საქართველოსაგან რუსეთის წაქეზებითა და მხარდაჭერით გამოყოფილი აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარება. ორივე რეგიონი მსოფლიო იზოლაციაშია მოქცეული, ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მხოლოდ ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუმ (მიკრონეზიის კუნძული წყნარ ოკეანეში, 21 კვ.კმ ფართობით და 2130 მოსახლეობით) აღიარეს.

დანიელ ორტეგას რეჟიმის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება 2008 წელს მოხდა. ამ ფაქტმა იმ დროს საერთაშორისო თანამეგობრობის გაკვირვება გამოიწვია, თუმცა რეალური ნეგატიური შედეგი მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ამღიარებელი ქვეყნების დასჯა გადაწყვიტა.

ხუთ მაისს დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა სენატისა და წარმომადგენლობათა პალატის მიერ მიღებულ დოკუმენტს – აშშ-ის 2017 წლის ფედერალური ბიუჯეტის კანონს, რომლის თანახმად, შეერთებული შტატები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ოფიციალურად თვლის „საქართველოს ტერიტორიებად, რუსეთის მიერ ოკუპირებულს“. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს სანქციების დაწესებას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიარებენ და აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთს მის შემადგენელ ნაწილებად არ თვლიან.

დეპუტატი ხასინტო სუარესი მართალია, როცა ამბობს, რომ ნიკარაგუის მთავრობის სუვერენული უფლებაა, სურვილისამებრ აღიაროს ამა თუ იმ ქვეყნის დამოუკიდებლობა, მაგრამ მას ავიწყდება, რომ არ შეიძლება ამ უფლების გამოყენება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევით.

თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ყოველმა სახელმწიფომ და მთავრობამ ისეთი პრაქტიკული პოლიტიკა გაატაროს და ისეთი დიპლომატია განახორციელოს, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს უნივერსალურ ფასეულობებს – ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტსა და სახალხო სუვერენიტეტს. ასეთი პოლიტიკა მმართველთა კაპრიზებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ის, ვინც მხარს უჭერს „ჩექმების დიპლომატიას“, ისიც უნდა იცოდეს, რომ თავისი მოქმედების გამო ფასის გადახდაც მოუწევს.

„La Prensa“ (**ნიკარაგუა**)

# თბილისი – საოცრად ჯადოსნური ადგილი ჩვენთან ახლოს...

თურქული გამოცემა „Daily Sabah“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია საქართველოში ჟურნალისტის ყოფნის შთაბეჭდილებები, განსაკუთრებით კი თბილისის დათვალიერების შედეგად. „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ვრცელი პუბლიკაციის მოკლე შინაარსს:

**თბილისის ევროპის ტურისტულ ტოპათეულში მიმდინარე წელს გამოჩნდა, მანამდე კი საქართველო და მისი დედაქალაქი „ევროპულ საიდუმლოებებს“ მიეკუთვნებოდა. ამჟამად ეს მარშრუტი ერთ-ერთი პოპულარულია. თბილისი საოცარი და ჯადოსნური ქალაქია, სადაც შეგიძლიათ შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრის გვერდით სუპერთანამედროვე შენობებს ნახავთ. თბილისი იმპერიათა გზაჯვარედინზე მდებარეობდა – ქალაქს ბევრი რამ უნახავს, დაწყებული რომელებიდან, ოსმალებიდან და სპარსელებიდან, დამთავრებული რუსებით და საბჭოელებით. ქართველებს ძალიან უყვართ და მოსწონთ თავიანთი ხელოვნება და არქიტექტურა, ქართულ ეროვნულ ვალუტაზე ბევრი მწერალია გამოსახული, ქართველები ასევე ამაყობენ უძველესი ანბანითაც.**

**სტამბოლიდან თბილისში იაფად გამგზავრება ვისაც სურს, მან „პეგასის“ ბიუჯეტური ავიაკომპანიის თვითმფრინავებით უნდა ისარგებლოს, ან „თურქეთის ავიახაზებით“. ასევე შეიძლება საერთაშორისო ავტობუსით მგზავრობაც (ღირებულება – 40 დოლარი), რომლებიც სტამბოლიდან ყოველდღიურად გადიან საქართველოს მიმართულებით. მგზავრობას 17 საათი სჭირდება.**

**საქართველოში რომ ჩახვალთ, მიესალმეთ – „გამარჯობა!“. მესაზღვრე პოლიციელები ღიმილით შეგხვდებიან. აეროპორტიდან ქალაქამდე ტაქსის სტანდარტული ფასი 50 ლარია, თუმცა შეგიძლიათ, ღირებულება თანამგზავრებთან ერთად გაინაწილოთ, არ დაზარალდებით. თბილისში გირჩევთ, სასტუმრო-გალერეა „ფაბრიკაში“ იცხოვროთ. ამ შენობაში ადრე, საბჭოთა პერიოდში სამკერვალო საწარმო მუშაობდა, „ფაბრიკაც“ ამიტომ უწოდეს. აქ ნახავთ სურათების გამოფენას, ტანსაცმლის ნიმუშებს, ღამღამობით კონცერტებიც იმართება,** – ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციაში ყურადღება ეთმობა ქართულ სამზარეულოს, კვების ობიექტებს. აღწერილია რესტორანი „რაჭა“: „რაც კი აქ მივირთვით, ძალიან გემრიელი იყო, განსაკუთრებით მწვადი. ირგვლივ ყველა ქეიფობდა. მეზობელ მაგიდაზე ჩვენი სადღეგრძელო შესვეს... ამბობენ, რომ საუკეთესო ხინკალს რესტორან „ფასანაურში“ ამზადებენო“, – აღნიშნავს ავტორი და მკითხველს ხინკლის ჭამის წესს უხსნის: „ქართული ხინკალი ისეთია, თითებსაც ჩაიკვნეტ“.

**„თბილისში ჩასული ტურისტი, ისტორიული ნაწილის დათვალიერებისას პირველ რიგში მწვანე მთაზე აღმართულ გიგანტურ ციხე-სიმაგრეს დაინახავს. ეს ნარიყალაა. შეგიძლიათ ახვიდეთ ავტომანქანით ან საბაგირო გზით, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ააგეს. ნარიყალასთან ახლოს დგას „ქართვლის დედის“ გიგანტური ქანდაკება, რომელსაც მოყვრისთვის ხელში ღვინის თასი უჭირავს, მტრისთვის კი მახვილი. კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობაა მთაწმინდა, სადაც გართობა-დასვენების პარკია მოწყობილი. მთაწმინდიდან თბილისის საოცარი ხედი იშლება“.**



**თბილისი ძველ უბნების დათვალიერებისას აუცილებლად ნახეთ აბანოთუბანი. მართალია, ლინგვისტურად „აბანოთუბანს“ და „თბილისს“ საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ ამ ორ სახელწოდებას ერთი რამ მაინც აერთიანებთ: აბანოთუბანში აბანოებია, რომლებშიც ბუნებრივი გოგირდის შემცველი თბილი წყალი მოედინება. ამბობენ, თბილისს სახელი სწორედ ამ წყლის გამო დაერქვაო. ძველ უბნებში აშკარად შეამჩნევთ ქალაქის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველ ფაქტებს. აქ ბევრი ძველი ლამაზი შენობაა. თბილისი, ბოსნია-ჰერცოგოვინის დედაქალაქ სარაევოსთან ერთად, მსოფლიოში იმ მცირერიცხოვან ქალაქებს მიეკუთვნება, სადაც შეგიძლიათ ერთ ქუჩაზეც კი ნახოთ სხვადასხვა რელიგიის თაყვანისმცემელთა ისტორიული საკულტო შენობები: აქ არის ქრისტიანული სიონის ტაძარი და წმინდა ნინოს ეკლესია, ებრაული სინაგოგა და მაჰმადიანური მეჩეთი-ჯუმა.**

**ავტორი მკითხველებს ურჩევს, რომ თბილისში ყოფნისას ეწვიონ 9 აპრილის ბაღის ახლოს, „მშრალ ხიდთან“ მდებარე ბაზარს, სადაც შეუძლიათ ბევრი საბჭოური არტეფაქტები და ატრიბუტიკა შეიძინონ. „ქეიფის მეორე თუ მესამე დღეს შეგიძლიათ ქალაქგარეთაც გახვიდეთ. ამ შემთხვევაში ორი ვარიანტი გაქვთ: მცხეთა და „ქართლის ცხოვრება“.**

**მცხეთა საქართველოს ისტორიული დედაქალაქია. აქ 1700 წლის წინათ პირველი ქრისტიანული ტაძარი სვეტიცხოველი ააგეს, რომელთანაც უამრავი ლეგენდაა დაკავშირებული. ლეგენდებითაა მოსილი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაც, თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ქრისტიანობის აღიარება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო: ქართველები იმიტომ გაქრისტიანდნენ, რომ გვიანდელ რომის იმპერიაში დამცველს ხედავდნენ, სპარსელებთან დაპირისპირებაში. მოკლედ, მცხეთაში დიდუბიდან უნდა გაემგზავროთ. სვეტიცხოველი შესანიშნავი ტაძარია, მისი მონუმენტური ხედი გზიდანაც მოჩანს. აქ შაბათობით დამატკბობელ და სიმშვიდის მომგვრელ ქართულ საეკლესიო გალობას მოისმენთ. ჯვრის მონასტრიდან კი თუ მცხეთას გადმოხედავთ, ფრთხილად იყავით, რომ განცვიფრებისაგან ყბა არ ჩამოგივარდეთ“.**

**რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებას“, ეს მონუმენტი 2000-იანი წლების დასაწყისში აიგო ქვეყნის ეროვნული თვითშეგნების, იდენტურობის აღსანიშნავად. როგორც ამბობენ, უზარმაზარ ლოდებზე საქართველოს ისტორიის ეტაპებია ასახული. მას სხვაგვარად ქართულ „სტოუნჰენჯსაც“ უწოდებენ. მდებარეობს თბილისის ზღვაზე,** – წერს ავტორი.

**ერნსტ ფაიფერი.**

„Daily Sabah“ (თურქეთი)

## ტოიოტა მფრინავ ავტომობილს გამოუშვებს

**იაპონურმა ავტოგიგანტმა ტოიოტამ მფრინავი ავტომობილის მოდელზე დაიწყო მუშაობა. ამ მიზნით კომპანიამ 40 მილიონი იენი (352,4 ათასი დოლარი) გამოყო. Skydrive-ის შესაქმნელად იაპონელი კონსტრუქტორები დრონის სისტემას გამოიყენებენ. მანქანას 3 ბორბალი ექნება. ტოიოტას ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მფრინავი ავტომობილის გამოშვებას 2020 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის შეძლებს.**

## ვიეტნამის ბოლო იმპერატორის საათი 5 მილიონ დოლარად გაიყიდა

**ვიეტნამის უკანასკნელი იმპერატორის საათი ფილიპსის აუქციონზე სარეკორდო ფასად გაიყიდა. სააგენტო ბლუმბერგის ინფორმაციით, ბაოდაის როლექსის საათში უცნობმა კოლექციონერმა 5 მილიონი დოლარი გადაიხადა. ლოტისთვის ერთმანეთს 13 პოტენციური მყიდველი ეცილებოდა. ვაჭრობამ 8 წუთს გასტანა. საათი ვიეტნამის ბოლო იმპერატორმა ჟენევაში 1954 წელს შეიძინა.**




## ჩინეთში რობოტების მეოთხე სამიტი იწყება

**ორდღიანი ფორუმის მთავარი თემებია დაზვერვისა და სამომავლო ტრანსფორმაციის საკთხები. სამიტზე წარმოდგენილი იქნება რობოტები, რომლებიც სამეწარმეო და საოჯახო დანიშნულებით გამოიყენება. შარშან ინდუსტრიულ სფეროში მომუშავე რობოტების გაყიდვამ მსოფლიოს მაშტაბით 290 ათას ერთეულს მიაღწია.**



## პიკასოს ტილო 45 მილიონად გაიყიდა

**პიკასოს ცნობილი ტილო „ქალი ცისფერ კაბაში“ კოლოსალურ ფასად გაიყიდა. უცნობმა კოლექციონერმა მასში 45 მილიონი დოლარი გადაიხადა. ტილოზე პაბლო პიკასოს მეგობარი ქალი დორა მაარია გამოსახული. ნახატი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნაცისტთა მფლობელობაში გადავიდა, თუმცა ფრანგმა ამბოხებულებმა ის მალევე დაიბრუნეს. 6 წლის წინ ტილო ამერიკელმა კოლექციონერმა 26 მილიონად შეიძინა.**



## მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებული ადგილი დასახელდა

**მსოფლიოში ყველაზე დაბინძურებულ ადგილად წყნარი ოკეანის კუნძული ჰენდერსონი დაასახელეს. ამერიკელ და ბრიტანელ სპეციალისტთა დასკვნით, ერთ კვადრატულ მეტრზე ნაგვის ყველაზე მაღალი კონცენტრაცია სწორედ ჰენდერსონზე ფიქსირდება. კუნძულის გარშემოწერილობა სულ 4,3 ჰექტარია.**




**— 1941-ის სასწავლო წელს, — თქვა ს.კ. ტიმოშენკომ, — ჯარებს ექნებათ შესაძლებლობა, მოემზადონ უფრო მიზანსწრაფულად, უფრო ორგანიზებულად, რადგანაც იმ დროისათვის ისინი მოეწყობიან დისლოკაციის ახალ რაიონებში.**

**შემდეგ გამოვიდა გენერალ-პოლკოვნიკი დ.გ. პავლოვი. მან განვლილი თათბირის შეფასებით დაიწყო, მაგრამ ის სტალინმა შეაჩერა.**

**— რაში იმალება „წითლების“ ჯარების მხარის წარუმატებელი მოქმედებების მიზეზები? — იკითხა მან.**

**დ.გ. პავლოვი შეეცადა ხუმრობით გამოსულიყო მდგომარეობიდან, თქვა, რომ სამხედრო თამაშებში ასე ხდება. ეს ხუმრობა ი.ბ. სტალინს აშკარად არ მოეწონა და შენიშნა:**

**— ოლქის ჯარების სარდალი უნდა ფლობდეს სამხედრო ხელოვნებას, შეეძლოს, ნებისმიერ პირობებში გამონახოს სწორი გადაწყვეტილება, რაც ჩვენ ჩატარებულ თამაშში არ გამოგვივიდა.**

**შემდეგ ი.ბ. სტალინმა, ეტყობა, დაკარგა ინტერესი დ.გ. პავლოვის გამოსვლისადმი და იკითხა:**

**— კიდევ ვის სურს აზრის გამოთქმა?“**

რა დაინახეთ ამ მოკლე ამონარიდში? კვლავ ხელახლა წერენ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც ცვლიან განწყობილებას და შთაბეჭდილებას. „სტალინის ორი-სამი მკვეთრი რეპლიკის შემდეგ“, მკვეთრი შენიშვნების შემდეგ, რისი გახსენებაც არ მინდა“. სტალინი კვლავ გამოჰყავთ უხეშ, უზრდელ ადამიანად, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს თავის სარდლებს. ინტერესი გეკარგება მათი სიტყვებისა და აზრებისადმი. რატომ, მისი სიკვდილის შემდეგაც კი, მემუარების ყველა ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა სტალინის განსაკუთრებულ ზრდილობას? ვინ აიძულებდა მათ ბელადის სიკვდილის შემდეგ ელაპარაკათ მისი ზრდილობიანობისა და ტაქტიანობის შესახებ? ვის დავუჯეროთ ყველა მარშალსა და ჟუკოვს — თუ ანა დავითის ასულ მირკინას? მირჩევნია, დავუჯერო სამხედრო მარშლებს. მე მჯერა უკვე ჩვენგან ნახსენები ნავთობ-გაზის დარგის შემქმნელის ნ.კ. ბაიბაკოვისა. ის ხომ წმინდად სამოქალაქო და არა სამხედრო ადამიანი იყო. მაგრამ თავის მემუარებში სრულიად ერთმნიშვნელოვნად წერს სტალინის „უხეშობასა და უზრდელობაზე“:


კ. ა. მერეცკოვი

**„არ შემიძლია, გავიხსენოთ თუნდაც ერთი შემთხვევა, როდესაც სტალინს ხმა აემაღლებინოს, ვინმე გაელანძღოს, ან ესაუბროს გაღიზიანებული ტონით. ის არასოდეს დაუშვებდა, რომ მისი თანამოსაუბრისთვის მიეყენებინა ჩრდილი, შეშინებული ყოფილიყო მის წინაშე, დაბნეულიყო შიშისგან ან პატივისგან. მას შეეძლო უმალვე და შეუმჩნევლად დაემყარებინა ადამიანებთან მიმნდობი საქმიანი კონტაქტი. დიახ, ბევრი მასთან თათბირებზე გამომსვლელი ღელავდა, და ეს გასაგებიცაა. მას რაღაც განსაკუთრებული ადამიანური უნარით შეეძლო ეგრძნო თანამოსაუბრე, მისი მღელვარება, და ან საუბარში მსუბუქად ჩართული სიტყვით, ან ერთი ჟესტით შეეძლო მოეხსნა დაძაბულობა, დაემშვიდებინა, წაეხალისებინა იგი. ან მეგობრულად გაეხუმრა.**

**მახსოვს, თუ როგორ მოხდა ერთხელ კაზუსი: სიტყვის წარმოსათქმელად ფეხზე წამომდგარი „გროზნოს ნავთობის“ უფროსი კოჩერგოვი თითქოს გაქვავდა და მღელვარებისაგან ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა, სანამ სტალინმა არ გამოიყვანა ის შოკიდან, დამამშვიდებლად არ წარმოთქვა:**

**— ნუ ღელავთ, ამხანაგო კოჩერგოვ, ჩვენ აქ ყველა შენი ხალხი ვართ“.**

დამეთანხმეთ, სტალინი რომ ყოფილიყო ჩამოყალიბებული უდიერი და უხეში, მოექცეოდა უდიერად და უხეშად უწინარეს ყოვლისა შტატის მუშაკებს და, უკვე უკიდურეს შემთხვევაში, — თავის გენერლებსა და მარშლებს. თუნდაც თვითგადარჩენის გრძნობით — იმ ფაქტს კი, რომ სტალინი იყო ჭკვიანი კაცი, არ უარყოფენ ყველაზე მთავარი „დესტალინიზატორები“, მაგრამ როდესაც არის დაკვეთა სტალინის სახელისთვის ჩირქის მოცხების შესახებ, აქ უკვე აღარ სცალიათ ისტორიული სამართლიანობისათვის. დაკვეთა შესრულებული უნდა იქნეს. და აი, ამოტივდება ასეთი მარგალიტები: „... ეტყობა, დაკარგა დ.გ. პავლოვის გამოსვლისადმი ინტერესი“. არა ბალეტზე, არა ოპერაში იყო სტალინი, რომ შეძლებოდა, ეჩვენებინა თავის ირგვლივ მყოფთათვის თავისი მოწყენილობა, თუმცა იქაც კი უადგილო და უზრდელობა იქნებოდა. რას ნიშნავს — „დაკარგა ინტერესი“? მიმდინარეობს სამხედრო თამაშის გარჩევა, აქ ყველაფერი ზედმიწევნით უნდა განალაგო, ყველაფერი გაარკვიო. სწორედ ამისთვის, არსებითად, შეიკრიბა კიდეც წითელი არმიის მთელი წარჩინებულება.

***გარდაქმნისდროინდელი ვარიანტი (ფალსიფიკატორების მიერ ჩამატებული ტექსტი გამოყოფილია კურსივით):***

**„ი.ბ. სტალინმა შეწყვიტა დისკუსია, *დაგმო გ.ი. კულიკი შეხედულობათა ჩამორჩენილობის გამო.***

**— ომში გამარჯვება, — შენიშნა მან, — იქნება იმ მხარეს, რომელსაც ჰყავს მეტი ტანკი და აქვს ჯარების უფრო მაღალი მოტორიზაცია.**

***ი.ბ. სტალინის ეს შენიშვნა როგორღაც არ უკავშირდებოდა მის წინა შეხედულებას ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, 1939 წლის ნოემბერში დაიშალა ჩვენი სატანკო კორპუსები, და უმაღლეს სატანკო გაერთიანებად ბრძანებით უნდა ყოფილიყო სატანკო ბრიგადა.***

**დასასრულ ი.ბ. სტალინმა პოლიტბიუროს წევრებისადმი მიმართვაში განაცხადა:**

**— უბედურება ისაა, რომ ჩვენ არ გვყავს გენერალური შტაბის ნამდვილი უფროსი. უნდა შევცვალოთ მერეცკოვი. — ასწია ხელი და დაუმატა: — სამხედროები თავისუფლები არიან.**

***ჩვენ გამოვედით მისაღებში. კ.ა. მერეცკოვი დუმდა. დუმდა სახალხო კომისარი. ვდუმდით ჩვენც, სარდლები. ყველა გაოგნებული იყო ი.ბ. სტალინის სიმკვეთრით და იმით, რომ კირილ ათანასეს ძე მერიცკ„ოვს დაუმსახურებლად აწყენინეს. კ.ა. მერეცკოვთან მე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვმუშაობდი ბელარუსის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქში, სადაც ის ოლქის შტაბის უფროსი იყო, როდესაც ოლქს სათავეში პირველი რანგის მეთაური ი.პ. უბორევიჩი ედგა. ის კ.ა. მერეცკოვს აფასებდა, როგორც შრომისმოყვარე, მცოდნე და გამოცდილ მუშაკს.***

***ა.ი. ერომენკო თავის წიგნში „ომის დასაწყისში“ გადმოგვცემს ი.ბ. სტალინის ვრცელ გამოსვლას უმაღლესი სამხედრო სამეთაურო შემადგენლობის უკანასკნელ სხდომაზე. უნდა ვთქვა, რომ ი.ბ. სტალინი არ ესწრებოდა არც ერთ თათბირს, ამიტომ გამოსვლაც არ შეეძლო. ეტყობა, ავტორმა შეცდომით მიაწერა მას ეს გამოსვლა“ (გ.ჟუკოვი „მოგონებები და აზრები“).***

**ჩვენ აქ ვხედავთ მთელი აბზაცებისა და წინადადებების დამატებებს, რომლებიც ცვლიან საერთო შთაბეჭდილებას: „ყველა გაოგნებული იყო ი.ბ. სტალინის სიმკვეთრით და იმით, რომ კირილ ათანასეს ძე მერეცკოვს დაუმსახურებლად აწყენინეს“. უხეში, უგუნური სტალინი. უზრდელი. აი რისი დამატება სურთ ისტორიის გამყალბებლებს. და მართლაც — ომში გავიმარჯვეთ მისი ნების წინააღმდეგ...**

# თავი 9.
## დიდი სამამულო ომის წინ

გ.კ. ჟუკოვის მემუარების მეცხრე თავი გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას: შევადაროთ ის, რასაც თავდაპირველ ვარიანტში წერდა, იმას, თუ რა დაუმატეს გამყალბებლებმა. აი, ციტატები ამ თავიდან, რომლებშიც საუბარი შეეხება მძიმე და თავდაცვის მრეწველობის განვითარებას ომისწინა ბოლო წელს და სტალინის როლს ამ პროცესში.

წიგნის საწყისი ვარიანტი:

**„ი.ბ. სტალინი თავად ეწეოდა დიდ მუშაობას თავდაცვის საწარმოებთან, კარგად იცნობდა ათასობით ქარხნების დირექტორებს, პარტიულ ორგანიზატორებს, მთავარ ინჟინერებს, ხშირად ხვდებოდა მათ, რომ მისთვის დამახასიათებელი დაჟინებით შეძლებოდათ დასახული გეგმების შესრულება“.**

...

**ი.ბ. სტალინი არტილერიას ომის უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიიჩნევდა, დიდ ყურადღებას უთმობდა მის სრულყოფას. შეიარაღების სახალხო კომისარი ომის დროს იყო დ.თ. უსტინოვი, საბრძოლო მასალების სახალხო კომისარი ომამდე და ომის დროს — ბ. ლ. ვანნიკოვი, საარტილერიო სისტემების მთავარი კონსტრუქტორები — გენერლები ი.ი. ივანოვი, ვ.გ. გრაბინი. ყველა მათგანს სტალინი იცნობდა კარგად, ხშირად ხვდებოდა მათ და მთლიანად ენდობოდა მათს საქმიან თვისებებს.**

...

**1940 წლის ბოლოს — 1941 წლის დასაწყისში გაჩაღდა ბრძოლა საუკეთესო ტიპის თვითმფრინავების სერიული ათვისების დაჩქარებისთვის. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ი.ბ. სტალინი ბევრ დროსა და ყურადღებას უთმობენ ავიაციის კონსტრუქტორებს. შეიძლება ითქვას, რომ ავიაცია გარკვეულწილად ი.ბ. სტალინის გატაცებაც იყო.**

სხვადასხვა მემუარისტების მოგონებების ფურცლებზე, მათ შორის გრაბინის, ანნიკოვის, უსტინოვისა და ბევრი სხვისა, გადმოცემულია სტალინის როლის შეფასება ომისწინა სამრეწველო და სამხედრო მშენებლობაში. ამოვჭრათ ჟუკოვის ციტატები, რომლებშიც ის ასევე მაღალ შეფასებას აძლევს სსრ კავშირის მეთაურის წვლილს ყოველივე ამაში, მისი უკვე დაბეჭდილი მემუარებიდან — შეუძლებლად მიგვაჩნია. მაგრამ ჩვენ ხომ გვახსოვს მეთოდი კუპრით სავსე კოვზისა, რომელიც სასწაულებრივ აქცევს მთელ კასრ თაფლს კუპრად. ნახეთ, როგორ კეთდება ეს. როგორც ამბობენ — ყურადღება მიაქციეთ ხელებს. უფრო სწორედ — კოვზს...

***გარდაქმნისდროინდელი ვარიანტი (ფალსიფიკატორების მიერ ჩამატებული ტექსტი გამოყოფილია კურსივით):***

***„სამხედროებს ხშირად ლანძღავდნენ იმის გამო, რომ ისინი ნამეტანი დაბეჯითებით ითხოვდნენ, დაეჩქარებინათ ამა თუ იმ ნიმუშის მიღება სახელმძღვანელოდ. მათ ეუბნებოდნენ: რას ეთამაშებით ცეცხლს? როდესაც საჭირო იქნება — ჩვენ უზრუნველგყოფთ თვითმფრინავებით, ტანკებით, ჭურვებით“.***

***— თქვენ ახლა ჩვენ გვლანძღავთ, — უპასუხებდნენ სამხედროები, — იმიტომ, რომ ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ, ხოლო თუ ომი მოხდება, მაშინ თქვენ ილაპარაკებთ — რატომ მოვითხოვეთ ცუდად.***

***რასაკვირველია, მაშინ ჩვენ, სამხედრო ხელმძღვანელებს გვესმოდა, რომ ქვეყანაში ბევრი პირველხარისხოვანი ამოცანაა და ყველაფერი უნდა გადავწყვიტოთ დიდი პოლიტიკის შესაბამისად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ დიდი პოლიტიკა, რომლის ხელმძღვანელიც ი.ბ. სტალინი იყო, ომის***



***საფრთხის თავის შეფასებაში მცდარი ვარაუდებიდან გამოდიოდა (ციტატები გ.კ.ჟუკოვის წიგნიდანაა).***

და აი, უკვე სტალინი, რომელიც პირადად ხელს უწყობდა შეიარაღების მრავალ ნიმუშს, თითქოს უკვე ამუხრუჭებს მათს წარმოებას. და პირდაპირ აპირებდა „მიეყარა“ თვითმფრინავები და ტანკები სამხედროებისთვის. რას იფიქრებს, როდესაც ამ სიცრუეს წაიკითხავს რუსეთის ახალგაზრდა მცხოვრები? მან ხომ იცის, რომ ჟუკოვი დიდი მხედართმთავარი იყო. სტალინის შესახებ კი მან იცის მხოლოდ ის, რომ იგი „ეფექტური მენეჯერი“ იყო. ჟუკოვის აზრი ავტორიტეტულია.

და აი, უკვე ჟუკოვის სახით, უმატებენ ტექსტის მთელ გვერდებს.

თარგმნა
**ზურაბ ლომიძემ**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-97

◉ წყალბურთი

# ოთხივე მეტოქე დაამარცხეს



**თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის" აუზში დამთავრდა 18-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. ფინალური ეტაპი წლეულს შემოდგომით მალტაზე გაიმართება. საქართველოს დედაქალაქმა D შესარჩევ ჯგუფს უმასპინძლა. გადამწყვეტი რაუნდის ორი საგზურისთვის ხუთმა გუნდმა იასპარეზა — საქართველომ, საფრანგეთმა, შვეიცარიამ, ჩეხეთმა და კვიპროსმა. შეჯიბრების ფავორიტებად ფრანგებსა და ქართველებს მიიჩნევდნენ და არც შემცდარან:**

**I ტური.** საფრანგეთი-ჩეხეთი 16:3 (4:0, 4:0, 3:1, 5:2), საქართველო-შვეიცარია 10:3 (3:1, 3:1, 3:0, 1:1).

**II ტური.** ჩეხეთი-შვეიცარია 4:10 (1:1, 3:4, 0:2, 0:3), კვიპროსი-საფრანგეთი 3:23 (1:2, 2:7, 0:5, 0:9).

**III ტური.** საქართველო-კვიპროსი 26:4 (4:2, 6:0, 7:1, 9:1), საფრანგეთი-შვეიცარია 8:7 (0:1, 4:3, 1:1, 3:2).

სამი ტურის შემდეგ ორივე ფინალისტის ვინაობა გაირკვა. მეოთხე ტურში სწორედ ისინი — საქართველო და საფრანგეთი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სახელოვანი წყალბურთელის — რევაზ ჩომახიძის შეგირდებმა (გიორგი ბარაბაძე, დავით ცხაკაია, თორნიკე დიასამიძე, კახა სამყურაშვილი, ვიტალი მემანიშვილი, ლევან ხოხაშვილი, გიორგი წულუკიანი, გურამ კუჭუაშვილი, ნიკოლოზ იმნაიშვილი, თემურ ჭეიშვილი, თორნიკე ხვინგია, გიორგი ქათამაძე, ნიკოლოზ ქარჩავა) პირველი წუთებიდანვე აქტიურად შეუტიეს მეტოქის კარს და ორი პერიოდის განმავლობაში შვიდი მშრალი ბურთი გაუტანეს სტუმრებს. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ფრანგებმა ერთადერთი პრესტიჟის გოლი გაიტანეს და საბოლოოდ ქართველებმა გაიმარჯვეს 7:1 (3:0, 4:0, 0:0, 0:1). ამავე IV ტურში კვიპროსმა ჩეხეთთან წააგო 1:10 (0:2, 0:4, 1:2, 0:2).

**V ტური.** შვეიცარია-კვიპროსი 12:5 (5:2, 3:0, 2:0, 2:3), საქართველო-ჩეხეთი 10:3 (2:1, 1:0, 3:1, 4:1).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 4 | 0 | 53:11 | 12 |
| საფრანგეთი | 4 | 3 | 1 | 48:20 | 9 |
| შვეიცარია | 4 | 2 | 2 | 32:27 | 6 |
| ჩეხეთი | 4 | 1 | 3 | 20:37 | 3 |
| კვიპროსი | 4 | 0 | 4 | 13:71 | 0 |

*წლეულს სექტემბერში მალტა ფინალურ ეტაპზე მედლებისთვის მებრძოლ 16 გუნდს უმასპინძლებს.*

**ლაშა დიდია**

◉ ტაბლო

## რაგბი



**საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. გორის „ჯიქი " — „ბათუმი" 28:22 13:6).**

**მსაჯი: ფრენკ მერფი (ირლანდია).**

შიდაქართლელები პირველად გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები. შთამბეჭდავია ის გზა, რომელიც ამ კლუბმა (დამფუძნებელი — **დავით გოცაძე,** მთავარი მწვრთნელი — **პალიკო ჯიმშელაძე**) ოლიმპამდე განვლილი ოთხი სეზონის განმავლობაში გაიარა: 2014 — VII ადგილი, 2015 — V ადგილი, 2016 — III ადგილი, 2017 — I ადგილი. დაგვეთანხმებით, საოცარი პროგრესიაა.

**ჩემპიონთა შემადგენლობა:**

კიკნაძე (სვანიძე,) ბიწაძე, ჯინჯიხაძე, სამხარაძე (ხუციშვილი), ხარაზიშვილი, ნინიძე, ზამბახიძე (ბროძელი), ორაგველიძე (კაკოვინი), მამრიკიშვილი (სუთიძე), დონაძე (გურგენიძე), გოგოლიძე (ჯიმშიტაშვილი), ტრაპაიძე, შენგელია, მჭედლიშვილი, სუხიშვილი (დიდებულიძე).

**ჩელენჯ კაპი. ფინალი.** „სტად ფრანსე" (საფრანგეთი) — „გლოსტერი" (ინგლისი) 25:17. საპატიო ტიტულს ჟვანია და მელიქიძეც დაეუფლნენ.



## კალათბურთი

**ნბა. დასავლეთ კონფერენცია. ფინალი.** I მატჩი. „გოლდენ სტეიტი" — „სან ანტონიო" 113:111 (სერიის ანგარიში 1:0). ზაზა ფაჩულია — 11 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა 25-ქულიანი ჩამორჩენა მას შემდეგ აღმოფხვრეს, რაც ზაზასთან შეჯახებისას ტრავმა მიიღო ტეხასელთა სნაიპერმა ლეონარდმა.

## ავტორბოლა

**ფორმულა 1. ესპანეთის გრანპრი.**

ლუის ჰემილტონი (დიდი ბრიტანეთი, „მერსედესი"), სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ფერარი"), დანიელ რიკარდო (ავსტრალია, „რედ ბული ").

**საერთო ჩათვლა:** ფეტელი (104 ქულა), ჰემილტონი (98 ქულა), ვალტერი ბოტასი (ფინეთი, „მერსედესი") — 63 ქულა.

**კონსტრუქტორთა თასი.**

„მერსედესი" — 161 ქულა, „ფერარი " — 153 ქულა, „რედ ბული" — 72 ქულა.

**კობა კობახიძე**



◉ ცურვა

# თანდათან ევროპას ვუახლოვდებით



**გასულ უქმეებზე ქართველმა მოცურავეებმა ბრატისლავის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს და ექვსი მედალი მოიპოვეს, მათ შორის ორი ოქროსი, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოსი. ახალგაზრდებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდა ლევან ბახტურიძე. 50 მეტრი ბრასით მან 29,56 წამში დაფარა და პირველი ადგილი დაიკავა. ეს შედეგი საქართველოს რეკორდია. ბახტურიძე პირველი იყო ფინიშთან 100 მეტრზე (1.05,35) ბრასითაც. ვერცხლის მედალი (23,93) 50 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში ეროვნული ნაკრების წევრ გიორგი ბიგანიშვილს ერგო. მანვე ამავე ყაიდით 100 მეტრი 52.97 წამში დაფარა, რაც მხოლოდ მე-5 ადგილისთვის ეყო. უფროსებში ორი ბრინჯაოს მედალი აკაკი ვაშაკიძემ დაისაკუთრა — მესამე ადგილები მან დაიკავა ბატერფლაით 100 (57,03) და 200 (2.06,56) მეტრზე ცურვაში. საქართველოს სპორტულ დელეგაციას მესამე ბრინჯაოს მედალი ახალგაზრდებში რატი კერვალიშვილმა 200 მეტრზე ბრასით (2.29,57) ცურვაში მოუტანა.**

— ბრატისლავაში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, — გვითხრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა გიორგი აბზიანიძემ, — ექვსი მედლის გარდა, წინა წლებისგან განსხვავებით, ჩვენებმა მეტწილად ფინალურ გაცურვებში მიიღეს მონაწილეობა და ევროპელ თანატოლთა შედეგებს მიუახლოვდნენ. განსაკუთრებით მინდა, გამოვყო ახალგაზრდა მოცურავე ლევან ბახტურიძე — მან ორი ოქროს მედალი დაიმსახურა, თანაც 50 მეტრზე ბრასით საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა, ხოლო 50 და 100 მეტრზე ბრასით ცურვაში მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო „ბ" ნორმატივი შეასრულა. ამ შეჯიბრებას გაისად არგენტინა უმასპინძლებს.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ჩოგბურთი

# მხოლოდ ფინალები დათმეს

**სამი ქართველი ჩოგბურთელი თამაშობდა წინა კვირას უცხოურ კორტებზე და სამივე წყვილებში მეორე ადგილებს დასჯერდა. ესპანური მონსონის ქალთა 25.000-იან შეჯიბრებაში სოფიო შაფათავამ უკრაინელ ვალერია სტრახოვასთან ერთად გადამწყვეტი პაექრობა ანდრეა გამიზისა (ვენესუელა) და ხეორხინა გარსია-პერესის (ესპანეთი) ტანდემთან დათმო — 3:6, 4:6.**

იტალიის დედაქალაქ რომში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) მელანი სტოკესთან (ნორვეგია) შეწყვილებულმა ეკატერინე გორგოძემ სამი დუეტი ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ ფინალში იაპონელებთან — ერი ჰოზიუმსა და მაიუ კატოსთან ვერაფერს გახდა — 1:6, 4:6.




იგივე ბედი ეწია საქართველოს ვაჟთა ნაკრების წევრ გიორგი ცივაძეს უკრაინელ ვლადისლავ ორლოვთან ერთად, რომელმაც ჩერკასის 15.000-იან საერთაშორისო ტურნირში ბოლო ორთაბრძოლა იტალიელებთან — რიკარდო ბონადიოსა და პიეტრო რონდონისთან წააგო -— 6:2, 7:5.

**მადრიდის ტურნირი. კაცები:** ნახევარფინალი.

ნადალი (ესპანეთი) — ჯოკოვიჩი (სერბეთი) 6:2, 6:4. ეს იყო ჩოგნის დიდოსტატთა 50-ე შეხვედრა და ესპანელის 24-ე გამარჯვება.

**ფინალი.** ნადალი — ტიმი (ავსტრია) 7:6, 6:4.

**ქალები:** ფინალი სიმონა ჰალეპი (რუმინეთი) — კრისტინა მლადენოვიჩი (საფრანგეთი) 7:5, 6:7, 6:2.

**გივი გაგუა**

◉ ინტერნეტიდან



# ნახალოვკელი ამალია დიასი

**პირმშვენიერი არგენტინელი მოდელი ამალია დიასი ბუენოს-აირესის დაახლოებით ისეთ უბანში იშვა და აღიზარდა, ჩვენთან, მაგალითად, ნახალოვკა რომაა და შეიძლება მთლად ბაბოჩკის ტრიალი და ეზოს წინ ჩაცუცქვა არ ყვარებია, მაგრამ ჭეშმარიტი ნახალოვკელივით მასაც არ უყვარს ზედმეტი ლაი-ლაი და მარიაჟობა.**

ამასწინათ ამალია დიასმა თვალისმომჭრელი ჩვენების შემდეგ ფიცარნაგზე ნატანჯი დიადი ფეხები მაგიდაზე დასასვენებლად შემოაწყო, წინ ბულვარული მედიის ბიჭ-ბუჭობა დაისვა და დაუფარავად განაცხადა, რომ ვერ იტანს თავის კოლეგებს და განსაკუთრებით გული მათზე არ მისდის, ვინც პოპულარობისათვის ნემსის ყუნწში ძვრება.

ყბაღია ამალიას რომ გავუგოთ, მაშინ მთელი ლათინური ამერიკის მოდელობა უნდა მოვიძულოთ, რადგან ვისაც კი არ ეზარება, ყველა ფეხბურთის დიდ ქომაგად რაცხს თავს და ყველა ასე ცდილობს პოპულარობის მოხვეჭას. ნახალოვკელ დიასის ქალს კი ასეთი ზედმეტი პაპსავიკობანი არ ეპიტნავება და იმას ამბობს, რაც ენაზე მოადგება. პირში მთქმელია, რაღა!

**როსტომ რაჭველიშვილი**

**ჭიდაობა**

# ათი მედალი და გუნდური პირველობა

**26 ქვეყნის თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკები მონაწილეობდნენ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ საერთაშორისო ტურნირში.** წარმატებას მიაღწიეს საქართველოს ნაკრების წევრებმა, რომლებმაც ათივე წონით კატეგორიაში მოიპოვეს მედლები. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **გიორგი ჭოლაძე** (42 კგ), **დიმიტრი სალდაძე** (50 კგ), **ლაშა ბაირამოვი** (76 კგ) **და დავით ქოჩქიანი** (85 კგ). **მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ გიორგი მუზაშვილი** (69 კგ), **ვლადიმერ გამყრელიძე** (54 კგ) **და გიორგი ელბაქიძე** (63 კგ), **ხოლო გიორგი გეგელაშვილი** (46 კგ), **ავთანდილ გოდელაშვილი** (54 კგ) **და ჭაბუკი გამყრელიძე** (100 კგ) მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ.



საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილი თურქებს, მესამე კი გერმანელებს ერგოთ.

**გივი გაგუა**

**ჭადრაკი**

# ჯობავა პირველია



ბაადურ ჯობავა (მარჯვნივ) და ერიკ ბლომკვისტი

**წლეულს 30 მაისიდან ბელარუსის დედაქალაქი მინსკი მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის მე-18 ინდივიდუალურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაში საქართველოს რვა წარმომადგენელი მოსინჯავს ძალებს. ესენი არიან — ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, დავით ჯოჯუა, ლუკა პაიჭაძე, ზურაბ სტურუა, თორნიკე სანიკიძე და ნოე თუთისანი.**

კონტინენტის პირველობისთვის მზადების მიზნით ბაადურ ჯობავამ შვედეთის ქალაქ მალმიოში მოჭადრაკეთა წრიულ ტურნირში იასპარეზა. საპრიზო ადგილებისთვის ხუთი ქვეყნის ექვსი წარმომადგენელი მონაწილეობდა. დიდოსტატმა ბაადურ ჯობავამ (რეიტინგი — 2713) მეტოქეთაგან ინგლისელი ნაიჯელი (2688) დაამარცხა, ხოლო პაველ ელიანოვს (უკრაინა, 2755), ნილს გრანდელიუსს (შვედეთი, 2665), ერიკ ბლომკვისტსა (შვედეთი, 2546) და ჰარიკა დრონავალის (ინდოეთი, 2531) დაუზავდა, ხუთი შესაძლებლობიდან 3 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი ნილს გრანდელიუსმა, მაგრამ დამატებითი უარესი მაჩვენებლებით მას მეორე ადგილი ხვდა. 2.5-2.5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები პაველ ელიანოვმა და ერიკ ბლომკვისტმა გაინაწილეს, 2-2 ქულით მეხუთე-მეექვსე ადგილებზე ნაიჯელ შორტი და ჰარიკა დრონავალი გავიდნენ.

**ნანა ცერაძე**

# კომპიუტერს ევროპის ჩემპიონი დაუპირისპირდა

**„დღევანდელი ღონისძიება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის ერთობ მნიშვნელოვანი იყო, - გვითხრა გიორგი გიორგაძემ. — ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტსა და ჩვენს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, უპირველესად, ფედერაციის მაღალტექნოლოგიური კომპიუტერით უზრუნველყოფას გულისხმობს. უნივერსიტეტი დაამზადებს მძლავ კომპიუტერებს, რომლებიც ნაკრები გუნდების მაღალ დონეზე საწვრთნელად დაგვეხმარება“.**

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილი,** თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი,** მოქმედი, ვეტერანი და დამწყები მოჭადრაკეები, საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები და ჭადრაკის მოყვარულები. მემორანდუმით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პარტნიორი გახდა და საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ნაკრების მომზადებას საჭირო ტექნოლოგიებით მოამარაგებს.

ჭადრაკის ფედერაციამ დამსწრეთ წარუდგინა ახალი პროექტი - „ითამაშე ჭადრაკი“, რომელიც მიზნად ისახავს სკოლებში, მოზარდებსა თუ, ზოგადად, საზოგადოებაში ჭადრაკის პოპულარიზაციას. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში გამართული ღონისძიების პროგრამის შესაბამისად, ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე კომპიუტერს შეხვდა. ეს ორთაბრძოლა ერთ-ერთი ბოლო თაობის კომპიუტერის გამარჯვებით დასრულდა. ღონისძიების დასასრულს უნივერსიტეტმა (რექტორი მიხეილ ბატიაშვილი) მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრებს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცა.



შეხვედრისას ითქვა, რომ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრები - ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია და ნინო ბაციაშვილი კარგა ხანია, მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ეს შეჯიბრება ივნისში ხანტიმანსიისკში გაიმართება. ნაკრების მთავარი მწვრთნელისა და კაპიტნის — დიდოსტატ დავით ჯოჯუას ხელმძღვანელობით გუნდი 22 მაისიდან ბაზალეთის ტბაზე საწვრთნელ შეკრებაზე მოიყრის თავს. ჩვენს მანდილოსნებს ცნობილი სპეციალისტი, ბულგარელი დიდოსტატი ალექსანდრ დელჩევი დაეხმარება.

**ლაშა დიდია**

# „ქართული ანბანის“ საწყისით...




**მართალია, მუზეუმების საერთაშორისო დღედ 18 მაისია დადგენილი, მაგრამ ამ რანგის მოვლენის ერთ დღეში ჩატევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამიტომაც სულაც რა არის გასაკვირი, რომ ისევე, როგორც მსოფლიოს უამრავ კულტურულად გამორჩეულ ქალაქში, ეს დღე მთელი კვირეულით აღინიშნება, რომელიც თბილისში 16 მაისს გაიხსნა და 25 მაისამდე გასტანს.**

დედაქალაქში რამდენიმე უკვე გამართულ და უახლოეს დღეებში გასამართ კულტურულ ღონსიძიებათა ნუსხა იმდენად შთამბეჭდავია და საინტერესო, რომ ყველაზე დეტალურად შეჩერებას ვერ შევძლებთ, რაზეც მკითხველს ბოდიშს ვუხდით, თუმცა კი ორიოდე სიტყვით ინფორმაციის მოწოდებას ყველას თაობაზე ვეცდებით.

თავდაპირველად აუცილებლად აღსანიშნავია ჩვენი საყვარელი მომღერლის, უნიჭიერესი კაცის **ნიაზ დიასამიძის** გამოფენა, რომელსაც შინაარსით ყოვლისმომცველი სახელწოდებით „ქართული ანბანი“, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა) მასპინძლობს.

ეს მსოფლიოში არსებულ თოთხმეტ დამწერლობით ანბანს შორის ერთ-ერთი გამორჩეულის, ქართული ანბანის ავტორისეულად აღქმული ფერწერული ხედვაა, რომლის კანონებს და განსხვავებულ ნიშნებს ავტორი „ცოცხალ და თავისუფალ“ ორგანიზმად აღიქვამს.

გუშინ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში **ლაშა ბაქრაძემ** საქართველოს ისტორიის „გამოტოვებულ და უთქმელ“ ამბებსა და ისტორიის გარკვეული „რევიზიის“ აუცილებლობაზე ლექცია წაიკითხა.



დღეიდან კი მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ეწყობა პოლონელი მოდერნისტი მხატვრის **ზიგა ვალიშევსკის** 120 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც გასული საუკუნის პირველ წლებში ქართული „ფუტურისტების სინდიკატის“ დაარსების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო.

ქარვასლა ასევე მასპინძლობს საქართველოში თანამედროვე ხელოვნების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში „თანამედროვე ხელოვნების გალერეაში“ გამოფენას „დიფუზიის სივრცის“, რომელიც ცამეტი ბელარუსი შემოქმედის ხელოვნებას გაგვაცნობს.

იოჰან ბახის, ვოლფგანგ მოცარტის, ბენჯამენ ბრიტენის, ჩარლი ჩაპლინის, გია ყანჩელის და სხვა დიდებულ შემოქმედთა ქმნილებათა მოსმენის საშუალება ექნებათ 18 მაისს ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ კლასიკური მუსიკის მოყვარულთ.

ამ დღეებში ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმი „XVIII-XX საუკუნეების ქართული კოსტიუმისა და იარაღის“ გამოფენაზე ეპატიჟება მნახველთ.

მსოფლიო და ეროვნული კულტურისადმი მძღვნილი კვირეულის აღნიშვნა საქართველოში მარტო დედაქალაქით არ შემოიფარგლება — 19 მაისს სიღნაღის მუზეუმში ვერნისაჟი „გერმანელი მხატვრები საქართველოში XIX-XX საუკუნეებში“, გაიმართება.

ამ შემთხვევაში საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ 2017 ქართულ-გერმანულ ურთიერთობათა საიუბილეო წელია, რომელიც კიდევ მრავალი სხვა ღონისძიებით იქნება გამორჩეული.

ზოგადად კი, მსოფლიო მუზეუმების საერთაშორისო დღე მსოფლიოს მრავალ ქალაქში, სხვადასხვა თემაზე გამოფენით, კონფერენციით, ლექციითა და სხვა შემეცნებითი პროექტით ხორციელდება, ამდენად დაინტერესებულთ თვალყურის მიდევნებას ვურჩევთ.

**ლალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის** ფოტო

# ბათუმში, ბარცხანის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობა დაიწყო

**ბათუმის მერიის ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯამში 18 ქუჩასა და ჩიხში ჩატარდება. პროექტის ფარგლებში სრულად კეთილმოეწყობა ბაქრაძის, აგარაკის, ნონეშვილის, კაზინეცის, ქათამაძის, შინდისის, შრომის, დიასამიძის, თამარ მეფის, ლორთქიფანიძის, ჭიჭინაძისა და ძმები ნობელების ქუჩები, მათი შესახვევები და ჩიხები. მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, ასფალტის საფარი, ბაზალტის ბორდიურები, ტროტუარებზე დაიგება ორშრიანი დეკორატიული ფილები.**




აღნიშნული ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარე წლის აპრილში დაიწყო და 2018 წლის ივნისამდე უნდა დასრულდეს.

სამუშაოების ღირებულება 4 მილიონ 484 ათას 44 ლარს შეადგენს.

# ნაღველ-კენჭოვანი დაავადება და მისი მკურნალობა

**ნაღველ-კენჭოვანი დაავადება ქრონიკული ქოლეცისტიტის ერთ-ერთი ფორმაა. დაავადება ძირითადად ვლინდება ნაღვლის ბუშტში ანთებითი პროცესის ფონზე. ნაღვლის კენჭები წარმოიქმნება ღვიძლში თანდაყოლილი ან შეძენილი პათოლოგიური ცვლილებების ფონზე ქიმიურად შეცვლილი ლითოგენური ნაღვლის გამომუშავების შედეგად, ხოლო ნაღვლის ინგრედიენტების ხსნად მდგომარეობაში შენარჩუნებას ნაღვლის კოლოიდური სისტემის სტაბილურობა განაპირობებს.**

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, კლინიკა „ენმედიცის“ თერაპევტი, გასტროენტეროლოგი თამარ ჟანდაშვილი.**



**— ქ-ნო თამარ, რა იწვევს ნაღველ-კენჭოვან დაავადებებს და რა შემთხვევაშია ქირურგიული ოპერაცია აუცილებელი?**

— ნაღველ-კენჭოვანი დაავადება ხასიათდება ნაღვლის ბუშტში, იშვიათად, სანაღვლე გზებში, ნაღვლის კენჭების წარმოქმნით. იგი ფართოდ გავრცელებული დაავადებაა. მამაკაცებთან შედარებით დაახლოებით ორჯერ უფრო ხშირია ჭარბი წონისა და ორმოც წელს გადაცილებულ ქალებში. ლიტერატურული მონაცემებით, ნაღველ-კენჭოვანი დაავადება ზრდასრული მოსახლეობის 18-20 პროცენტში გვხვდება. აღნიშნული დაავადება ძირითადად ვითარდება იმ შემთხვევაში, თუ ნაღვლის ბუშტში აღმოცენდება ან განვითარდება ანთებითი პროცესი, რომლის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ ინფექცია. დისკინეზია (ნორმალური მოტორიკის დარღვევა), ორგანიზმის ზოგადი იმუნოლოგიური რეაქტიულობის დაქვეითება, ალერგიული რეაქციები, ნაღვლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შეცვლა, კვების რეჟიმის დარღვევა. უდავოა მემკვიდრული ფაქტორის როლი, ასევე ცვლითი პროცესების დარღვევას (ქოლესტერინის, პიგმენტური ცვლის), ბურღულეულისა და ცომეულის ჭარბი მიღება (ხელს უწყობს ნაღვლის რეაქციის შეცვლას მჟავე მიმართულებით, რაც აქვეითებს ქოლესტერინის ხსნადობას), ენდო და ეგზოგენური წარმოშობის ჰიპოვიტამინოზი, არარეგულარული და ჭარბი კვება, ადინამია, ჭარბი წონა, ორსულობა, ანამნეზში ზოგიერთი გადატანილი დაავადება (მუცლის ტიფი, სალმონელოზი, მალარია, მწვავე ვირუსული ჰეპატიტი), შაქრიანი დიაბეტი.

ჩამოთვლილი მიზეზებიდან განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ფაქტორის კომპლექტი: ქოლესტერინისა და პიგმენტური ცვლის დარღვევა, ნაღვლის შეგუბება და სანაღვლე გზების ინფიცირება. ნაღველი წარმოადგენს ორგანული და არაორგანული კომპონენტების წყალხსნარს. ნაღვლის ძირითადი ორგანული კომპონენტებია ნაღვლის მჟავები, ფოსფოლიპიდები, ქოლესტერინი, ნაღვლის პიგმენტები. ნაღვლის შემადგენელი კომპონენტების კონცენტრაცია მნიშვნელოვნად მაღალია ნაღვლის ბუშტში, რაც დაკავშირებულია წყლისა და არაორგანული ელექტროლიტების რეაბსორბციის პროცესთან. კენჭის წარმოქმნის პროცესს მნიშვნელოვნად აჩქარებს ნაღვლის შეგუბება, რაც ხშირად ვლინდება ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესით, ქრონიკული შეკრულობის, ასევე კოლიტის დროს. ნაღვლის კენჭები ყველაზე ხშირად წარმოიქმნება ნაღვლის ბუშტში, იშვიათად სანაღვლე გზებში. კენჭების რაოდენობა ნაღვლის ბუშტში მერყეობს ერთეულებიდან მრავალ ათასამდე. ცვალებადია აგრეთვე კენჭების ზომებიც — ქვიშის მარცვლის ოდენობიდან ქათმის კვერცხის ზომამდე. რაც მეტია კენჭების რაოდენობა, მით მცირეა მათი ზომა. შემადგენლობის მიხედვით არჩევენ რბილ და მაგარ კენჭებს. პიგმენტური წარმოშობის კენჭები მრავლობითია, მკვრივი, მცირე ზომის, რუხი ფერის მომწვანო ელფერით.

**— როგორია ნაღველ-კენჭოვანი დაავადების სიმპტომები?**

— ნაღველ-კენჭოვანი დაავადების სიმპტომებია ღვიძლის კოლიკა (აუტანელი ტკივილი მუცელში, გამოწვეული ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების მწვავე გაწელვით). ტკივილი იწყება უეცრად, ატარებს შეტევით ხასიათს, ლოკალიზებულია მარჯვენა ფერდქვეშ, გადაეცემა მარჯვენა ბეჭში, მხარში, კისერში. თან ახლავს შემცივნება, სხეულის ტემპერატურის მომატება 38-39 გრადუსამდე. ტკივილი გრძელდება რამდენიმე წუთი ან საათი. შეიძლება გაგრძელდეს 1-2 დღეც. მისი ინტენსიობა პერიოდულად თანდათან ძლიერდება. ხშირია ტკივილის განვითარება საღამოს, ვახშმიდან 3-4 საათის შემდეგ. ტკივილის დაწყებას ხელს უწყობს ჭარბად მიღებული ცხიმიანი საკვები, ცხარე საკვები, სპირტიანი სასმელები, მძიმე ფიზიკური სამუშაო, ნჯღრევა (ვიბრაცია), ემოციები და სხვა. შეტევას ზოგჯერ წინ უსწრებს გულისრევა, სიმძიმის შეგრძნება გულის კოვზთან, მარჯვენა ფერდქვეშ. ავადმყოფს აღენიშნება საერთო სისუსტე, პირის სიმშრალე, წყურვილი, მწარე გემო, გულძმარვა, ბოყინი, პირღებინება უპირატესად ნაღვლით, შეკრულობა, მეტეორიზმი, რაც საერთო მდგომარეობას ამძიმებს. ზოგჯერ ჩამოთვლილ სიმპტომებს თან ერთვის ცვლილებები გულ-სისხლძარღვთა მხრიდან (ბრადიკარდია, ექსტრასისტოლია), ნაღვლის საერთო სადინარის კენჭით დახშობის შემთხვევაში ვითარდება სიყვითლე, რომელიც თავს იჩენს სადინარის დახშობიდან 2-3 დღის შემდეგ. შეტევის მომენტში მარჯვენა ფერდქვეშ მუცლის პრესი მკვეთრად დაჭიმულია. განსაკუთრებით მტკივნეულია ნაღვლის ბუშტის მტკივნეული წერტილი. ტკივილის შესამსუბუქებლად ავადმყოფი ეძებს სათანადო პოზას. ტკივილი ისევე მკვეთრად წყდება, როგორც იწყება. სისხლში აღენიშნება ბილირუბინისა და ქოლესტერინის რაოდენობის მომატება. განავალი აქოლიურია (თიხის ფერი) შარდი — მუქი ლუდისფერი. სიყვითლის გაქრობა მიუთითებს კენჭის გადაადგილებაზე თორმეტგოჯა ნაწლავში ან ნაღვლის სადინარის შედარებით გაფართოებულ ნაწილში. შესაძლებელია ნაწლავისეული სიმპტომებიც: უმიზეზო ფაღარათი, ან მყარი შეკრულობა. ნაღვლის საერთო სადინარის კენჭით დახშობას მოჰყვება ნაღვლის შეგუბება და შესაბამისად ნაღვლის ბუშტის ზომაში მომატება. თუმცა, ჩვეულებრივ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარე დაავადება იწვევს ნაღვლის ბუშტის შეჭმუხვნას და დეფორმირებას (შეხორცებებისა და ნაწიბურების ხარჯზე).



ნაღველ-კენჭოვანი დაავადების პროგნოზი დამოკიდებულია შესაძლო გართულებებზე, რომელთაგან აღსანიშნავია: ნაღვლის ბუშტის ემპიემა, ქოლანგიტი, ჰეპატიტი, ქრ. პანკრეატიტი, ნაღვლის ბუშტის პერფორაცია, ღვიძლის ბილიური ციროზი, ნაღვლის ბუშტის კიბო. მწვავე ქოლეცისტიტის მკურნალობა ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს. სამწუხაროდ, შეტევის შემდეგ ზოგიერთი პაციენტის დარწმუნება ოპერაციის აუცილებლობაში გაძნელებულია. ისინი ეწევიან თვითმკურნალობას, ცდილობენ „დაშალონ“ან „გამოდევნონ“ კენჭები ნაღვლის ბუშტიდან, რისთვისაც არ ერიდებიან სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას (რყევა, სითბური პროცედურები, ნაღველმდენი პრეპარატები და სხვ.) უნდა აღინიშნოს, რომ გამოყენებული მეთოდები არ არის უხიფათო და მოცემულ შემთხვევაში, პირიქით, შეუძლია გაართულოს დაავადების მიმდინარეობა. თან შესაძლებელია მხოლოდ ერთეული მცირე ზომის კენჭის გამოდევნა, რაც არ ათავისუფლებს ნაღვლის ბუშტს მთლიანად, ხოლო კენჭის გამოდევნას შეიძლება მოჰყვეს მისი გადაადგილება ბუშტიდან სადინარში და მექანიკური სიყვითლის ჩამოყალიბება. ავადმყოფს აუცილებლად ესაჭიროება თერაპიული მეთვალყურეობაც.

ნაღველ-კენჭოვანი დაავადების პროფილაქტიკას კვებითი ჰიგიენა წარმოადგენს. საჭიროა ბალანსირებული კვება. ფიქსირებულ საათებში კვება განამტკიცებს ნერვულ-რეგულაციურ ფუნქციურ კავშირებს და უზრუნველყოფს დინამიური სტერეოტიპის ფორმირებასა და, შესაბამისად, ნაღვლის ბუშტის პერიოდულ დაცლას. დიეტა ითვალისწინებს დღეში 100 გრ ცილის, 80გრ ცხიმის და 450-500გრ ნახშირწყლების მიღებას. რაციონიდან გამორიცხულია შემწვარი, შებოლილი, ცხარე, მარილიანი საკვები, ტორტი, კრემიანი ღვეზელი, შოკოლადი, კაკაო, ნაყინი, ცივი საჭმელი და სასმელი. მიზანშეწონილია ნაღვლის ბუშტის სანაღვლე გზებში ინფექციის შეჭრის პროფილაქტიკა, შეკრულობის თავიდან აცილება, მედიკამენტოზური მკურნალობა მხოლოდ ექიმის დანიშნულებით უნდა წარმოებდეს. აუცილებელია ექიმის პაციენტთან მჭიდრო კონტაქტი.

**ესაუბრა**
**ირინა ტატიშვილი**

**ჩვენი კარაბადინი**

# წნევის „თამაშები“

**ერთ-ერთი მეტად გავრცელებული პრობლემა, რომელიც ასაკის მატებასთან ბევრ ადამიანს აწუხებს (თუმცა კი ბოლო ხანებში მრავალი ახალგაზრდაც უჩივის) — არტერიული წნევის ანომალიებია.**

არტერიული წნევა — ეს ის პარამეტრია, რომელიც აჩვენებს, თუ რა ძალით აწვება სისხლის ნაკადი სისხლძარღვთა კედლებს. ეს გულის მუშაობის სიჩქარესა და ძალაზე, ასევე სისხლის საერთო მოცულობაზეა დამოკიდებული, რომლის გატარება შეუძლია მას ერთ წუთში.

არტერიული წნევის მაჩვენებელს ორი პარამეტრი აქვს — ზედა და ქვედა წნევა. ზედა რიცხვი — სისტოლური არტერიული წნევა — არტერიებში იმ წნევას აჩვენებს, რომელიც იმ დროს წარმოიშვება, როცა გული იკუმშება და სისხლს არტერიებში ასხურებს. ქვედა რიცხვი — დისტოლური არტერიული წნევა — არტერიებში გულის კუნთის მოდუნების მომენტში არტერიებში წნევას აჩვენებს.



ზრდასრული ადამიანის არტერიული წნევის ნორმად ვერცხლისწყლის სვეტის 120/80 მმ-ზე ითვლება, მაგრამ ყველა ადამიანს შეიძლება, ნორმალური სისხლის წნევის საკუთარი სიდიდე ჰქონდეს, ვინაიდან ის მის ასაკზე, ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ცხოვრების ნირზე, საქმიანობაზე, დღის რეჟიმსა და სხვა ასპექტებზეა დამოკიდებული. არსებობს არტერიული წნევის ასაკობრივი ორიენტირები.

კერძოდ: 16-20 წელი. ზედა: 100/120 მმ. ქვედა: 70/80 მმ; 20/40 წელი. ზედა: 120/130 მმ. ქვედა 70/80 მმ. 40-60 წელი: ზედა: 140 მმ. ქვედა. 90 მმ-მდე. 60 წელზე მეტი: ზედა: 150 მმ. ქვედა: 90 მმ.

ამრიგად, თუკი 16 წლის ჭაბუკისთვის 100/70-ზე ნორმის ქვედა ზღვარია, 60 წელს გადაცილებული ხანდაზმული კაცისთვის ასეთი წნევა მძიმე დაავადებას მიანიშნებს.

ამასთან, ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული ადამიანის თანამდევი სნეულებები. დაბალ წნევად ითვლება ზრდასრული ადამიანის 100/60-ზე ნაკლები მაჩვენებელი. ამავე დროს მათთვის (მაგალითად, სპორტსმენებისთვის), ვისთვისაც დიდი ფიზიკური დატვირთვები ჩვეული რამაა, 100/60-ზე და 90/50-ზეც კი ხშირად ნორმაა.

**მოამზადა**
**ნინო ალექსანდრიამ**

# გულო, ჩადექ საგულესა...

**გულისცემის, ან, უბრალოდ, პულსის სიხშირეს, სპორტსმენებიც იზომავენ, ისინიც, ვინც ჯანმრთელობის გასამაგრებლად ვარჯიშობს და ისინიც, ვინც ფიზკულტურასთან „არ მეგობრობს“ და უფრო პოლიკლინიკას სტუმრობს...**

ჩვენი გული — უაღრესად ეფექტიანი ძრავაა, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში თითქმის 100 ათასჯერ იკუმშება. ის ყოველგვარი შესვენების გარეშე მუშაობს, თუმცა კი ამ დროს სხვადასხვა სიხშირით ძგერს: რაც უფრო აქტიურად ვმოძრაობთ ჩვენ, მით უფრო ხშირია გულისცემა და პირიქით — როცა გვძინავს, პულსის სიხშირე წუთში 10-20 დარტყმით იკლებს.

ათვლის წერტილად, ჩვეულებრივ, მშვიდ მდგომარეობაში გულის კუნთის შეკუმშვების ოდენობას იღებენ. მას დაწოლილ მდგომარეობაში იმის შემდეგ იღებენ, რაც პაციენტი უმოძრაოდ არანაკლებ 5 წუთისა წევს. ეს მაჩვენებელი ასაკსა და სქესზეა დამოკიდებული, მაგრამ ისიცაა, რომ, საშუალოდ, ზრდასრული ადამიანისთვის ნორმალური პულსია წუთში 60-დან 90-მდე დარტყმა (ტანსრულ ადამიანებს ის შესაძლოა, ოდნავ მეტი ჰქონდეს, მაგრამ მაინც ნორმის ფარგლებში იყოს).



გამოთხოვება

# ავთო საყვარელიძე – დიდ საქმეთა მკეთებელი



არ იყო მოულოდნელი, მაგრამ მაინც თავზარი დამცა შენმა გარდაცვალებამ. დიდმა ოჯახურმა ტრავმამ შეწყვიტა შენი ბობოქარი ცხოვრება. მახსოვს, ბოლოს სამკაციან სუფრაზე შევხვდით ბაკურ გულუასთან ერთად, იქაც ისეთივე ბრწყინვალე თამადა იყავი, როგორც ადრე, იქაც იგივე ბრძენი და უნაკლო იყავი, როგორც დიდ სუფრებზე. პირველი ჭიქა წასული მეგობრების სადღეგრძელოს მიუძღვენი, სევდიანი იყო შენი ნათქვამი სიტყვები, რაღაცის მიმანიშნებელი. იცოდი მეგობრობის ფასი და შენს ირგვლივ მხოლოდ ნაღდი კაცები იყვნენ. ეჰ, ნეტავ იმ დროს, როდესაც ჩვენი თაობა დიდ საქმეებს იყო შეჭიდებული, ქვეყანას აშენებდა. აფხაზეთში გაგიცანი, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რექტორად დასანიშნავ კაცს გამესაუბრე. ახლაც მახსოვს, კაბინეტში შემოსულს ფეხზე ამიდექი, ლამაზი, ახოვანი, თავდაჯერებული. ბევრი არ გვისაუბრია, „საღამოს „ამრაში" შევხვდებითო", — მითხარი. რესტორანშივე მივხვდი, თუ როგორ გამიმეგობრე, დამიახლოვე, რთული სასამსახურო ტვირთი ლამაზად შემიმსუბუქე.

დიდ ტკივილად დამრჩა, რომ ყველაზე სამწუხარო ჟამს გვერდით ვერ დაგიდექი, ბოლო გზაზე ვერ გაგაცილე. გულდასაწყვეტია ისიც, რომ დიდი საქმეების მკეთებელი დაუფასებლად წახვედი ამ ქვეყნიდან, რას იზამ, ასეთია ჩვენი წუთისოფელი.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**

ხსოვნა

# მონატრება



პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი მეგობრული მონატრებითა და შეფარული გულისტკივილით იუწყებიან, რომ ამა წლის 16 მაისს შეუსრულდა იმქვეყნიური სამარადისო ცხოვრების ერთი წელი ამავე საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად დამფუძნებელს, ჩვენი დედაქალაქის ელიტური საზოგადოების ბრწყინვალე კოლორიტს, მეგობრებისა და ახლობლების მუდმივად მხარში დგომის უბადლო ოსტატს, ადამიანური სიკეთისა და კაცური სიყვარულის ტიპურ განსახიერებას და უშესანიშნავეს პიროვნებას, ბატონ **თამაზ ცინცაძეს**.

ძმაო თამაზ! შენი „კუტოკის" ძმაკაცები მუხლმოდრეკილი ვლოცულობთ, რათა უფალმა შენი და შენი მეუღლის, უსათნოესი ქალბატონის იზოლდას (რომელმაც ორმოცი დღეც კი ვერ გაძლო უშენოდ), უცოდველ სულებს სამარადისო სასუფეველი დაუმკვიდროს ნათელში.

ნათელა, გივი ნაცვლიშვილები იუწყებიან მძახლის, უსათნოესი პიროვნების

**თემურ კოვზირიძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 16, 17 V, ცინცაძის ქუჩა №39 (ეზოს მხრიდან ყოფილი საბურთალოს ქუჩა), გამოსვენება 18 V, 15 საათზე, საბურთალოს ძმათა სასაფლაოს წმინდა გიორგის ეკლესიიდან.

გურამ გოგიაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ფრანგული ლიტერატურის ცნობილი მთარგმნელი და მწერალი

**ნანი თარხნიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის შვილებსა და ახლობლებს.

# განცხადება
## ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)
სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი და გრანტი (IFAD Loan #: 2000000778; IFAD Grant 2000000248) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი სამუშაოებისთვის: **გორის მუნიციპალიტეტში არსებული „ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ95+25-დან პკ122+88-მდე მონაკვეთის და I, სხვა რიგის გამანაწილებლებისა და შიდა სამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია გ-19-დან გ-34-მდე", ნაწილი III-ბ.**

კონტრაქტით №: ***AMMAR/CW/2017/08***

**1.** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. **კონტრაქტის ხანგრძლივობაა 8 თვე.**

**2.** კონტრაქტის მინიჭებისათვის კონკურსის მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში – **1,600,000** ლარი დღგ–ს ჩათვლით
- ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური კონტრაქტორის როლში მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის, მინიმუმ **850,000 ლარის** (დღგ–ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არანაკლებ 70%–ით უნდა იყოს დასრულებული).
- კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო სახსრების (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობაა – **200,000 ლარი.**

**3.** ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2017 წლის 18 მაისიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:
**ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;**
**ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;**
**გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი -4411.**

**4.** საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს ***2017 წლის 15 ივნისის 12:00 საათისა,*** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

**5.** დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

მისამართი:
ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის 6, მე-3 სართული, ოთახი 309
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)
სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

# განცხადება

სს „ტრანსმშენი" ატარებს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2017 წლის 31 მაისს დღის 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №2, მე-3 სართული.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2017 წლის 15 მაისი.

**დღის წესრიგი:**

1. 2016 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
2. 2017 წლისათვის აუდიტორის არჩევა;
3. წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;
5. სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურების შესახებ;
6. სხვადასხვა.

აქციონერებს საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების შემოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — სს „კავკასრეესტრში", ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. №61, ტელ: 2 22 07 18;

სს „ტრანსმშენი"-ს მმართველი დირექტორი
**თამაზ კოტიშაძე**

# განცხადება

2017 წლის 6 ივლისს, 14 საათზე, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. თელავი, ერეკლე II გამზირი №1) გაიმართება ლოპოტა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია: თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. ლოპოტას ხეობაში 5.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

• საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

• თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ერეკლე II გამზირი №1;

• შპს „ართანა ლოპოტა"-ს ოფისში -ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №37დ;

შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27. ელ. ფოსტა: j.akhvlediani@gamma.ge

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

**შპს „ართანა ლოპოტა"-ს ადმინისტრაცია**

## სანთელი

ელიზბარ ლომინაძე, მურიკო თოფურიძე, თენგიზ კალანდაძე ოჯახებით იუწყებიან

**გივი მარგველაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

## საქართველო საერთაშორისო სამშენებლო გამოფენას მასპინძლობს

**საქართველო საერთაშორისო სამშენებლო გამოფენას „Caucasus Build“ ექსპო ჯორჯიას 16-დან 19 მაისის ჩათვლით უმასპინძლებს. საერთაშორისო სამშენებლო გამოფენა კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი უმსხვილესი და წამყვან ინდუსტრიული ღონისძიებაა.**

ინდუსტრიულ გამოფენაზე საკუთარ პროდუქციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ბენეფიციარები: ბაზალტის მწარმოებელი შპს „რება“, „მეგადორისის“ ბრენდის სახელით ცნობილი რკინისა და ხის მწარმოებელი შპს „ოცნება“ და ლამინირებული და დეკორატიული მინის, მინის აბაზანების და ნიჟარების მწარმოებელი შპს „Glass Work“-ი წარადგენენ. შპს „რება“ და შპს „ოცნება“ პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ინფრასტრუქტურული და ფინანსური მხარდაჭერის კომპონენტით სარგებლობენ. სამივე კომპანიას 100-ზე მეტი ადამიანი ჰყავს დასაქმებული.

ინდუსტრიული ღონისძიება საუკეთესო ადგილია პროვაიდერებისათვის, რომლებიც სამშენებლო მასალების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების სერვისებზე მუშაობენ.



# ქართული პავილიონი „ვენეციის ბიენალეზე“

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით, ვენეციის 57-ე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეზე საქართველოს პავილიონი პროექტით, „ცოცხალი ძაღლი მკვდარი ლომების გარემოცვაში“ წარსდგა. პროექტმა დამთვალიერებლების დიდი მოწონება დაიმსახურა. ინსტალაციის მთავარი ნაწილია ძველი იმერული ოდა, რომელსაც პროექტის ავტორმა ვაჟიკო ჩაჩხიანმა ჭიათურასთან ახლოსმდებარე სოფელში მიაკვლია. ნამუშევრის თემაა ადამიანისა და ბუნების ურთიერთგავლენა და მიგვანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მძიმედ აწევს ადამიანს სოციალური, პოლიტიკური თუ ისტორიული გარემოებების ტვირთი, რომელიც გავლენას ახდენს ცხოვრების შესახებ ადამიანთა წარმოდგენებზე.**



პროექტის კურატორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და მწერალი იულიან ჰეინენი, რომელიც 2003—2005 წლებში იყო გერმანიისეროვნული პავილიონის კურატორი ვენეციის ბიენალეზე და 2008 წელს შანხაის ბიენალეს ერთ-ერთი კურატორი. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ბერლინში.

ვენეციის 57-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა იტალიაში წელს 2017 წლის 13 მაისიდან 26 ნოემბრის ჩათვლით, იტალიის რესპუბლიკაში, ვენეციაში იმართება. წლევანდელი გამოფენის მთავარ თემას წარმოადგენს „VIVA ARTE VIVA“ (კურატორი კრისტინ მასელი). VIVA ARTE VIVA კონცეფცია აერთიანებს ყველა თაობისა და წარმოშობის ხელოვანს. გამოფენა მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ექსტრავერტირებული მიმართულებების,ცნობადი ადგილების და ყველაზე უცნობი განზომილებების გამოცდილება, რაც ნეოჰუმანიზმისაკენ მიმავალ გზებს გვიჩვენებს.

**„ველოდებით ძალიან სერიოზულ შედეგებს. როგორც ჩანს, ძალიან წარმატებული პავილიონი იქნება. პუბლიკის რაოდენობისა და ინტერესის გათვალისწინებით, შეგვიძლია უკვე ვთქვათ, რომ წელს ქართული პავილიონი ვენეციის ბიენალეზე ძალიან წარმატებული იქნება“,** — განაცხადა ანა რიაბოშენკომ, ვენეციის ბიენალეს ქართული პავილიონის კომისარმა.

ქართული პავილიონი ვენეციის ბიენალეს ერთ-ერთ მთავარ საგამოფენო სივრცეში „არსენალეზეა“ განთავსებული, რომელიც შენობაში Artiglierie 115 კვ.მ. ფართობის სივრცეზეა განთავსებული.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

# ეწვიეთ ბათუმს – საქართველოს ყველაზე მომხიბლავ ზღვისპირა ქალაქს

**ამერიკულ გამოცემა „Vogue“-ს მიერ გამოქვეყნებულ ეშლი შნეიდერის სტატია საქართველოში ტურიზმის მდგომარეობას ასახავს: მასში საუბარია საქართველოს მიმზიდველ ბუნებაზე, ღირსშესანიშნაობებზე, ქართულ ტრადიციებზე, სტუმართმოყვარეობაზე, ქართულ სამზარეულოზე, ტურიზმის ცენტრებზე, განსაკუთრებით კი დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს შავიზღვისპირა მარგალიტს — აჭარას და ბათუმს.**

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან ვერსიას:

**შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე საქართველო თავისი მწვანე პეიზაჟებით, თავისი ბუნებით მოგზაურზე დამაშვიდებელ გავლენას ახდენს. გოგირდოვანი აბანოები და ზღვისპირა ქვიშის პლაჟები თითქმის ისეთივე პირველყოფილია, როგორებიც იყვნენ მაშინ, როცა აქ ბერძნებმა და ბიზანტიელებმა პირველად დადგეს ფეხი. საფერავს პირდაპირ ქუჩებში შეხვდებით. ღვინო იმდენია, რამდენსაც მოისურვებ — ორ დოლარად ვედრო ღვინის ყიდვა შეგიძლია. ქართული ტრადიციით, სტუმარს პურმარილით ხვდებიან — ხაჭაპურით და პომიდორით... მაშინ როცა დასავლელი ტურისტები ძირითადად თბილისს სტუმრობენ, ცოტა თუ ჩადის ბათუმში, ზღვისპირა ქალაქში, სადაც მშვენიერი გარემო და გემრიელი კერძებია. ტურისტები იქ უძველეს კულტურას ეზიარებიან, — წერს ავტორი. იგი ადგილობრივ მცხოვრებლებს ერეკლე ჩიკვაიძეს და ლუკა ფანცხავას ესაუბრება, რომლებიც მშობლიური ქალაქის შესახებ დადებით შეფასებებს არ იშურებენ: „ბათუმი უნიკალურია თავისი მთისა და ზღვის ჰაერის სინთეზით. ბათუმს ირგვლივ მთები აკრავს — ჩრდილოეთიდან მცირე კავკასიონი, სამხრეთიდან კი თურქეთის მთები. აქაური სუბტროპიკული კლიმატის გამო ზამთარი თბილია და ზაფხული გრილი“, — ეს მათი სიტყვებია.**





**ავტორი აღწერს ბათუმის ღირსშესანიშნაობებს — ცნობილ ზღვისპირა ბულვარს, სადაც დამსვენებლის ყურადღებას იპყრობს ორიგინალური ძეგლი „ალი და ნინო“ (რომლებიც კერბენ საიდის რომანის გმირები არიან და განასახიერებს აზერბაიჯანელი მუსულმანის — ალისა და ქართველი ქრისტიანი ქალის ნინოს ტრაგიკულ სიყვარულს), იქვეა ადგილობრივი „ეიფელის კოშკი“... საინტერესო და მდიდარია ბათუმის ბოტანიკური ბაღიც...**

**„ქართველისათვის სტუმარი წმინდათა წმინდაა“. „ჩვენ ვამბობთ, რომ „სტუმარი ღვთისაა“, რას იმას ნიშნავს, რომ უფალმა სტუმარი გამოგზავნა და მას პატივი უნდა ვცეთ“, — ასე უხსნის სტატიის ავტორს ქართული სტუმართმოყვარეობის პრინციპს ადგილობრივი კაფეს მეპატრონე.**

**„აჭარულ კულტურულ ტრადიციებში ადგილობრივ სამზარეულოშიც არის გამოხატული. მაგალითად, „აჭარულ ხაჭაპურში“, — აღნიშნავს ავტორი და იქვე მკითხველს მისი მომზადების წესსაც აცნობს: „აჭარული ხაჭაპური“ ისეთი პოპულარულია, რომ თვით ბრუკლინის, ნიუ-იორკში, რესტორნებშიც კი დაიწყეს ყველის შემცველი ამ კერძის მომზადება... მაგრამ სად იქნება ყველაზე გემრიელი აჭარული ხაჭაპური, თუ არა მის სამშობლოში?“.**

„VOGUE“ **(აშშ)**

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.4307; ევრო - 2.6648
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1422;
100 რუბლი - 4.3118; თურქული ლირა - 0.6836;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4393;
1000 სომხური დრამი - 5.0195.

**ამინდი 17 მაისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +8 | დღე +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +21 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +8, | დღე +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +18 |
| თბილისი: | ღამე +13, | დღე +24 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge